მუშებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და
საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО КОМИТЕТА КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 32-ე წელი

სამშაბათი, 6 მაისი, 1952 წ. № 106 (9266). ფასი 20 კაპ.

დღეს გაზეთში

ახალი სესხი — მოწინავე (1-ლი გვერდი).

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში — სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების სახელმწიფო სესხის (1952 წლის გამოშვება) გამოშვების შესახებ (1-ლი გვერდი).

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების სახელმწიფო სესხის (1952 წლის გამოშვება) გამოშვების პირობები (1-ლი გვერდი).

საქართველოს მშრომელები ერთსულოვანი მოწონებით შეხვდნენ საბჭოთა მთავრობის გადაწყვეტილებას ახალი სესხის გამოშვების შესახებ (მე-2 გვერდი).

კ. სოხაძე — სოციალისტური სამშობლოს შემდგომი აყვავების სადარაჯოზე (მე-2 გვერდი).

ჟუთაისის კრემელი — საოჯახო საბრტიული კონფიერენცია (მე-3 გვერდი).

1 მაისის დღესასწაული უცხოეთში (მე-3 გვერდი).

საერთაშორისო თემაზე (მე-4 გვერდი).

უცხოეთის ინფორმაციები (მე-4 გვერდი).

ახალი სესხი

საბჭოთა ხალხი ლენინ-სტალინის პარტიის ბრძნული ხელმძღვანელობით, დიდი სტალინის წინამძღოლობით ახორციელებს კომუნიზმის მშენებლობის გრანდიოზულ პროგრამას. ომისშემდგომი სტალინური ხუთწლედისა და გასული წლის სახალხო-სამეურნეო გეგმის წარმატებითი შესრულებით ჩვენმა ქვეყანამ უდიდესი ნაბიჯი გადადგა წინ. ქვეყნის ეკონომიური წინსვლის საფუძველია მძიმე მრეწველობა, რომელიც ჩვენს ქვეყანაში უჩვეულო ტემპით ვითარდება და ახალ-ახალ მწვერვალებს იპყრობს. საბჭოთა კავშირი ახლა დაახლოებით იმდენსავე ფოლადს აღნობს, რამდენსაც ინგლისი, საფრანგეთი, ბელგია და შვეიცია ერთად. ქვანახშირის მოპოვების ნამატი საშუალოდ წელიწადში 24 მილიონ ტონას შეადგენს და, ამრიგად, ქვანახშირის ამოღებაში საბჭოთა კავშირს მეორე ადგილი უჭავია მსოფლიოში. ნავთობის მოპოვების ყოველწლიური მატება 4,5 მილიონ ტონას აღწევს. საბჭოთა მანქანათმშენებლებმა მარტო 1951 წელს შექმნეს 500-მდე ახალი მძლავრი მანქანა და მექანიზმი. შარშან საბჭოთა კავშირში გამომუშავებულ იქნა 104 მილიარდი კილოვატსაათი ელექტროენერგია, იმაზე მეტი, რაც ერთად აღებულ ინგლისსა და საფრანგეთში.

მძიმე მრეწველობის ამ უდიდეს ზრდასთან ერთად ჩვენს ქვეყანაში განუხრელად ვითარდება მრეწველობის ისეთი დარგები, რომლებიც ფართო მოხმარების საქონელს ამზადებენ და ხალხის მატერიალური კეთილდღეობის ამაღლებას ემსახურებიან.

წლითიწლობით იზრდება კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ტექნიკური ბაზა, ფართოვდება საკოლმეურნეო სოფლის მექანიზაცია და ელექტროფიკაცია. ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობამ მარტო შარშან დამატებით მიიღო 137 ათასი ტრაქტორი (15-ძალიანზე გადაყვანით), 53 ათასი კომბაინი, 59 ათასი სატვირთო ავტომობილი და დიდძალი სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანები. საკოლმეურნეო სოფლის მექანიზაციისა და ელექტროფიკაციის ბაზაზე განუხრელად მაღლდება მარცვლეული და ტექნიკური კულტურების მოსავლიანობა.

ჩვენი ქვეყნის მშენებლობაში განსაკუთრებული ადგილი უჭავია კომუნიზმის დიად მშენებლობებს — კუბიშევის, სტალინგრადისა და კახოვკის ჰიდროელსადგურებს, თურქმენეთის, სამხრეთ უკრაინისა და ჩრდილოეთ ყირიმის არხებს, ვოლგა-დონის სანაოსნო არხს, რომელიც წელს გადაეცემა საექსპლოატაციოდ.

დიდი სამუშაოებია გაჩაღებული ჩვენს რესპუბლიკაშიც. შენდება ახალი ქარხნები და ფაბრიკები, შახტები და მაღაროები, ჰიდროელექტროსადგურები და საირიგაციო ნაგებობანი, ახალი საცხოვრებელი სახლები და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დაწესებულებათა შენობები, ფართო მასშტაბით წარმოებს ქალაქების, მუშათა დაბებისა და საკოლმეურნეო სოფლების კეთილმოწყობა.

ყოველწლიურად უდიდესი სახსრები ხმარდება მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობისა და კულტურული დონის ამაღლებას. შარშან ჩვენი ქვეყნის მშრომელებმა თავიანთი პირადი მატერიალური და კულტურული მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად მიიღეს მთელი ნაციონალური შემოსავლის დაახლოებით 75 პროცენტი. ფართო მოხმარების სასურსათო და სამრეწველო საქონლის ფასების სისტემატურმა შემცირებამ, რაც ომისშემდგომ წლებში ხუთჯერ განხორციელდა, მოსახლეობას ასობით მილიარდი მანეთი მოგება მისცა. საცალო ფასების უკანასკნელი, სათვალავით მეხუთე შემცირებით, რაც მიმდინარე წლის პირველი აპრილიდან განხორციელდა, მოსახლეობა 23 მილიარდ მანეთზე მეტ მოგებას მიიღებს.

ამას წინათ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მესამე სესიამ დაამტკიცა სსრ კავშირის 1952 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი შემოსავლის ნაწილში 509,9 მილიარდი მანეთისა და გასავლის ნაწილში — 476,6 მილიარდი მანეთის ოდენობით. ამ თანხიდან წელს სახალხო მეურნეობის დაფინანსებას მოხმარდება 180,4 მილიარდი მანეთი. სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისათვის განსაზღვრულია 124,8 მილიარდი მანეთი. ამრიგად, სსრ კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრების უდიდესი ნაწილი როგორც წინა წლებში, ისე წელსაც ხმარდება სოციალისტური სახალხო მეურნეობის დაფინანსებას, ჩვენი სამშობლოს ეკონომიური ძლიერებისა და კულტურის ზრდის უზრუნველყოფას.

საბჭოთა სახელმწიფო ბიუჯეტის უმნიშვნელოვანესი თავისებურება, კაპიტალისტური ქვეყნების ბიუჯეტებისაგან განსხვავებით, ის არის, რომ მისი საშემოსავლო ნაწილის 80 პროცენტზე მეტს უზრუნველყოფს მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, ტრანსპორტისა და ვაჭრობის შემოსავალი. რაც შეეხება მოსახლეობის გადასახადებს, იგი მიმდინარე წლის ბიუჯეტის მთელი შემოსავლის მხოლოდ 9,3 პროცენტს შეადგენს.

სსრ კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყაროა მოსახლეობის სახსრები, შრომითი დანაზოგი, რომელთაც ხალხი ნებაყოფლობით აძლევს სახელმწიფოს სესხების სახით. ომისწინა სტალინურ ხუთწლედებში მოსახლეობამ სესხად მისცა სახელმწიფოს 49,8 მილიარდი მანეთი; დიდი სამამულო ომის წლებში სახელმწიფო სესხებიდან ბიუჯეტში შემოვიდა 76 მილიარდ მანეთზე მეტი, ომისშემდგომ ხუთწლედში სესხებზე ხელმოწერით სახელმწიფომ მიიღო დაახლოებით 130 მილიარდი მანეთი, ხოლო შარშან 30 მილიარდი მანეთის ოდენობით გამოცემული სესხი გავრცელდა საგრძნობი გადაჭარბებით — ხელმოწერის თანხამ 34,8 მილიარდი მანეთი შეადგინა.

საბჭოთა სახელმწიფო სესხები ნამდვილი სახალხო სესხებია. საბჭოთა ადამიანებს სესხზე ხელმოწერა, შრომითი დანაზოგის სახელმწიფოსათვის სესხად მიცემა თავიანთ პატრიოტულ მოვალეობად, სახელისა და ღირსების საქმედ მიაჩნიათ. საბჭოთა ხალხმა კარგად იცის, რომ მის მიერ სახელმწიფოსათვის სესხად მიცემული თვითეული მანეთი საბოლოო ანგარიშით მის კეთილდღეობას, სოციალისტური სამშობლოს ეკონომიური და თავდაცვითი ძლიერების შემდგომ განმტკიცებას, ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის მშენებლობის დიადი პროგრამის განხორციელებისათვის ბრძოლას, მშვიდობიანი შემოქმედებითი შრომის უზრუნველყოფას ხმარდება.

ამავე დროს საბჭოთა სახელმწიფო სესხები დიდ შემოსავალს აძლევს ობლიგაციის მფლობელებსაც. ომისშემდგომი ხუთწლედის მანძილზე მოსახლეობამ სესხების მოგებათა სახით, ობლიგაციების ნომინალური ღირებულების ჩათვლით, მიიღო 17 მილიარდამდე მანეთი, შარშან დაახლოებით 5 მილიარდი მანეთი, ხოლო წელს განაღდებულ იქნება 7 მილიარდი მანეთი მოგება. ამასთანავე წელს ტარდება სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების მეორე სახელმწიფო სესხისა და 1948 წლის 2-პროცენტიანი სახელმწიფო სესხის ობლიგაციათა დაფარვის პირველი ტირაჟები.

საბჭოთა ხალხი მუდამ ერთსულოვნად უჭერს მხარს სახელმწიფო სესხების გამოშვებას. საქართველოს მშრომელები მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად უდიდესი პატრიოტული აღმავლობით შეხვდა საბჭოთა მთავრობის 1952 წლის 5 მაისის დადგენილებას სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების ახალი სახელმწიფო სესხის გამოშვების შესახებ. რესპუბლიკის საწარმოებში, დაწესებულებებში, კოლმეურნეობებში ახალი სესხის გამოშვებისადმი მიძღვნილ კრებებზე მშრომელებმა ერთსულოვნად მოიწონეს საბჭოთა მთავრობის ეს ახალი ღონისძიება და გადაწყვიტეს ერთსულოვნად მოაწერონ ხელი სესხზე.

პარტიული, საბჭოთა, პროფესიული და კომკავშირული ორგანიზაციების, მთელი საბჭოთა საზოგადოებრიობის საპატიო მოვალეობაა ფართო მასობრივ-საგიტაციო მუშაობით უზრუნველყონ ახალ სესხზე ხელმოწერაში თვითეული მშრომელის მონაწილეობა. მივცეთ სესხად სახელმწიფოს შრომითი დანაზოგი — ასეთი ლოზუნგით უნდა წარმართოს ახალ სესხზე ხელმოწერა.

საბჭოთა საქართველოს მშრომელები მუდამ მოწინავე რიგებში იყვნენ სახელმწიფო სესხების გავრცელების საქმეში. ეჭვი არ არის, რომ ისინი ახლაც ერთსულოვნად მოაწერენ ხელს ახალ სესხს და ამით თავიანთ წვლილს შეიტანენ ჩვენი სოციალისტური სამშობლოს — მთელ მსოფლიოში მშვიდობის ბურჯის ძლიერების შემდგომი განმტკიცების, კომუნიზმის დიად მშენებლობათა პროგრამის განხორციელების საქმეში.

უზრუნველვყოთ ახალ სესხზე ხელმოწერაში თვითეული მუშის, გლეხის, მოსამსახურის, ქალაქისა და სოფლის ყველა მშრომელის მონაწილეობა!

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების სახელმწიფო სესხის (1952 წლის გამოშვება) გამოშვების შესახებ

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარებისათვის, მდინარე ვოლგაზე კუიბიშევისა და სტალინგრადის ჰიდროელექტროსადგურების, მდინარე დნეპრზე კახოვკის ჰიდროელექტროსადგურის, თურქმენეთის მთავარი არხის, სამხრეთ უკრაინისა და ჩრდილოეთ ყირიმის არხების მშენებლობის დაფინანსებისათვის მოსახლეობის სახსრების მოზიდვის მიზნით სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ **დაადგინა:**

1. გამოშვებულ იქნას სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების სახელმწიფო სესხი (1952 წლის გამოშვება) 30 მილიარდი მანეთი თანხისა 20 წლის ვადით.

2. სესხის ობლიგაციები და მათი მოგებანი განთავისუფლდეს სახელმწიფო და ადგილობრივი გადასახადებითა და გამოსაღებებით დაბეგვრისაგან.

3. დამტკიცდეს სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს მიერ წარმოდგენილი პირობები სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების სახელმწიფო სესხის (1952 წლის გამოშვება) გამოშვებისა.

4. სესხზე ხელმოწერა დაიწყოს 1952 წლის 6 მაისს.

დამტკიცებულია
სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს
მიერ 1952 წლის 5 მაისს

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების სახელმწიფო სესხის (1952 წლის გამოშვება) გამოშვების პირობები

1. სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების სახელმწიფო სესხი (1952 წლის გამოშვება) გამოშვებულია ვადით 1952 წლის 1 ოქტომბრიდან 1972 წლის 1 ოქტომბრამდე.

2. სესხი განკუთვნილია მხოლოდ მოსახლეობაში გასავრცელებლად.

სესხის გავრცელების წესს ადგენს სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტრო.

3. სესხი იყოფა თანრიგებად—ას-ასი მილიონი მანეთი ყოველ თანრიგში.

თვითეული თანრიგი შედგება 20.000 სერიისაგან. თვითეული თანრიგის სერიებს აქვთ ნომრები № 120001-დან № 140000-მდე.

თვითეული სერიის ობლიგაციებს აქვთ ნომრები № 01-დან № 50-მდე.

4. სესხის ობლიგაციები გამოდის 500, 200, 100, 50, 25 და 10 მანეთის ღირებულებისა.

500 და 200-მანეთიანი ობლიგაციები შედგებიან შესაბამისად ერთი სერიის ხუთი ან ორი ასმანეთიანი ობლიგაციისაგან ხუთი ან ორი ნომრით და იძლევიან ხუთი ან ორი მოგების უფლებას, რომლებიც ერთსა და იმავე დროს ხვდება ობლიგაციაზე აღნიშნულ თვითეულ ნომერს.

50, 25 და 10-მანეთიანი ობლიგაციები წარმოადგენენ ასმანეთიანი ობლიგაციების ნაწილებს და იძლევიან უფლებას ასმანეთიანი ობლიგაციის კუთვნილი მოგების შესაბამის წილზე (1/2, 1/4, 1/10).

5. სესხის ობლიგაციების მთელი შემოსავალი გაიცემა მოგებათა სახით.

მოგებათა საერთო თანხა საშუალოდ სესხის ოცი წლის განმავლობაში დაწესებულია წელიწადში 4 პროცენტის ანგარიშით.

სესხის ოცი წლის განმავლობაში მოიგებს ყველა ობლიგაციის 35 პროცენტი, ხოლო ობლიგაციების დანარჩენი 65 პროცენტი იფარება მათი ნომინალური ღირებულების მიხედვით.

ობლიგაცია, რომელსაც მოგება ხვდა, იფარება და შემდგომი ტირაჟებიდან გამოირიცხება.

სესხის მოგებანი წესდება 25.000, 10.000, 5.000, 1.000, 500 და 200 მანეთის რაოდენობით ასმანეთიან ობლიგაციაზე, ობლიგაციის ნომინალური ღირებულების (ასი მანეთის) ჩათვლით.

6. სესხის ოცი წლის ვადაში გაიმართება მოგებათა 40 ტირაჟი — ორ-ორი ტირაჟი ყოველწლიურად.

მოგებათა ტირაჟები გაიმართება 1953 წლიდან დაწყებული იმ ვადებში, რომლებსაც დაუწესებს სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტრო.

7. მოგებათა თვითეულ ტირაჟში სესხის ყოველ თანრიგზე, ე. ი. სესხის თვითეულ 100 მილიონ მანეთზე გათამაშდება მოგებათა შემდეგი რაოდენობა:

ასმანეთიანი ობლიგაციის მოგებათა ოდენობა ობლიგაციის ნომინალური ღირებულების ჩათვლით	მოგებათა რაოდენობა				
	1-10 ტირაჟებში თვითეულში გათამაშდება	11-20 ტირაჟებში თვითეულში გათამაშდება	21-30 ტირაჟებში თვითეულში გათამაშდება	31-40 ტირაჟებში თვითეულში გათამაშდება	სულ 40-სავე ტირაჟში გათამაშდება სესხის ყოველ 100 მილიონ მანეთზე
25.000 მანეთი	1	1	1	1	40
10.000 მანეთი	5	5	5	5	200
5.000 მანეთი	10	10	10	10	400
1.000 მანეთი	100	100	100	100	4.000
500 მანეთი	1.000	1.000	1.000	1.000	40.000
200 მანეთი	7.984	7.734	7.284	7.284	305.360
მოგებათა საერთო რაოდენობა	9.100	8.850	8.650	8.400	350.000
მოგებათა საერთო თანხა (მანეთობით)	2.321.800	2.271.800	2.231.800	2.181.800	90.072.000

8. ობლიგაციები, რომლებსაც მოგება არ ხვდათ, იფარება (გამოიყიდება) მათი ნომინალური ღირებულების მიხედვით 1957 წლის 1 ოქტომბრიდან სესხის ვადის დამთავრებამდე დარჩენილი 15 წლის განმავლობაში.

სესხის ყოველ 100 მილიონ მანეთზე გამოიყიდება: 1957-1962 წლებში — 2.500.000 მანეთი, 1963-1967 წლებში — 4.400.000 მანეთი, 1968-1972 წლებში — 5.600.000 მანეთი ყოველწლიურად.

სესხის ობლიგაციები, რომლებიც გამოყიდულ უნდა იქნან 1957-1971 წლებში, განისაზღვრება დაფარვის ყოველწლიური ტირაჟებით; დაფარვის ტირაჟების ვადებს აწესებს სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტრო.

ის ობლიგაციები, რომლებიც დაფარვის ტირაჟებში არ გასულან, გამოიყიდება 1972 წლის 1 ოქტომბრიდან.

9. ობლიგაციები, რომლებსაც მოგება ხვდათ, აგრეთვე ობლიგაციები, რომლებიც გამოყიდულ უნდა იქნას მათი ნომინალური ღირებულების მიხედვით, შეიძლება წარდგენილ იქნას გასანაღდებლად 1973 წლის 1 ოქტომბრამდე; გასანაღდებლად წარუდგენელი ობლიგაციები ამ ვადის გასვლის შემდეგ კარგავენ ძალას და განაღდებული არ იქნებიან.

სსრ კავშირის ფინანსთა მინისტრი ა. ზვერევი

მარნეულის რაიონის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა შეასრულეს სახელმწიფოსათვის მაგყლის ჩაბარების გეგმა

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელზე გამოგზავნილი დეპეშით პარტიის მარნეულის რაიკომის მეორე მდივანი ამხ. ალიევი და მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. მამედოვი იტყობინებიან, რომ რაიონის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა 30 აპრილისათვის 101 პროცენტით შეასრულეს სახელმწიფოსათვის მატყლის ჩაბარების ნახევარი წლის გეგმა.

რაიონის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა ვალდებულება იკისრეს წლიური გეგმის გადამეტებით სახელმწიფოს ჩააბარონ 15 ტონა მატყლი.

შეჯიბრებაში გამარჯვებული საწარმო

სსრ ქიმიური მრეწველობის სამინისტროს კოლეგიამ და პროფკავშირის ცენტრალურმა კომიტეტმა შეაჯამეს ქიმიური მრეწველობის საწარმოთა შორის გაჩაღებული საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების მიმდინარე წლის პირველი კვარტალის შედეგები. სამინისტროს და პროფკავშირის ცენტრალურმა კომიტეტმა შეჯიბრებაში გამარჯვებულად ცნეს და მესამე პრემია მიაკუთვნეს თბილისის პლასტმასის ნაკეთობათა ქარხანას.

პირველი კვარტალის საწარმოო გეგმა ქარხანამ შეასრულა 106,4 პროცენტით, პროდუქციის თვითღირებულება გეგმით გათვალისწინებული 12 პროცენტის ნაცვლად შეამცირა 14,4 პროცენტით, შრომის ნაყოფიერების ზრდამ გეგმასთან შედარებით 105 პროცენტი შეადგინა, ხოლო ზეგეგმითი ეკონომია 347 ათას მანეთს უღრის.

ქარხნის კოლექტივმა 30 აპრილს გაანაღდა აგრეთვე თვიური გეგმა.

დიდი პატრიოტული აღმავლობით ჩატარდა ახალი სესხის გამოშვებისადმი მიძღვნილი მიტინგი სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელ ქარხანაში.
სურათზე: ტრიბუნაზეა ამწყობი საამქროს ოსტატი გ. ანთაძე.

ფოტო ვლ. გინზბურგისა

საქართველოს ცემენტის ქარხანამ გაღაჭარბებით შეასრულა აპრილის გეგმა

საქართველოს ცემენტის ქარხნის კოლექტივმა, რომელიც იბრძოდა საპირველმაისო სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებათა რეალიზაციისათვის, გადაჭარბებით შეასრულა პროდუქციის გამოშვების აპრილის გეგმა. ჩვენი ქვეყნის მშენებლობებმა მიიღეს ასობით ტონა ზეგეგმითი ცემენტი. (საქდესი).

საქართველოს მშრომელები ერთსულოვანი მოწონებით შეხვდნენ საბჭოთა მთავრობის გადაწყვეტილებას ახალი სესხის გამოშვების შესახებ

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდი პატრიოტული აღმავლობა

დიდი აღფრთოვანებითა და ერთსულოვანი მოწონებით შეხვდნენ საქართველოს დედაქალაქის — თბილისის მშრომელები საბჭოთა მთავრობის დადგენილებას სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების სახელმწიფო სესხის გამოშვების შესახებ. დედაქალაქის საწარმოებსა და დაწესებულებებში გაიმართა ხალხმრავალი კრებები და მიტინგები, რომლებიც საბჭოთა სამშობლოსადმი, ბოლშევიკური პარტიისადმი, ხალხთა დიდი ბელადისა და მასწავლებლის ამხანაგ სტალინისადმი თბილისის მშრომელთა უსაზღვრო სიყვარულისა და ერთგულების ბრწყინვალე დემონსტრაციად გადაიქცა.

მგზნებარე პატრიოტულ გამოსვლებში თბილისის საწარმოთა და დაწესებულებათა მუშები, მოსამსახურეები, ინჟინრები, მეცნიერი მუშაკები, ყველა პროფესიის ადამიანები მხურვალედ მიესალმებოდნენ ახალი სესხის გამოშვებას, რომელიც ჩვენი ხალხის სასიცოცხლო ინტერესებს შეესაბამება.

* * *

დამთავრდა თუ არა რადიოგადაცემა ახალი სესხის გამოშვების შესახებ, სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელ ქარხანაში შედგა მეორე ცვლის მუშა-მოსამსახურეთა კრება. კრება გახსნა ქარხნის პარტიული კომიტეტის მდივანმა ამხ. ვ. ნინოშვილმა.

სიტყვას იღებს ჩაროსანი ხარატი ილია ჭუმბურიძე.

— ჩვენმა საწარმომ, რომელიც დიდი ბელადისა და მასწავლებლის ამხანაგ სტალინის სახელს ატარებს, მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შეასრულა საპირველმაისო გალდებულება, სამშობლოს გეგმის გადამეტებით მისცა მაღალხარისხოვნად შეკეთებული ორთქლმავლები და ვაგონები და ამით ღირსეული წვლილი შეიტანა კომუნიზმის მშენებლობის საქმეში. ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებლები მოწინავენი არიან შრომაში, ისინი მოწინავენი იქნებიან ახალ სესხზე ხელმოწერაშიც. სულით და გულით მივესალმები ჩვენი მშობლიური საბჭოთა მთავრობის დადგენილებას ახალი სესხის გამოშვების შესახებ, ვდგები სტახანოვურ ვახტზე და ვკისრულობ ყოველდღიური ნორმა 400 პროცენტით შეავსრულო.

— ჩვენ, საბჭოთა ადამიანები, — თქვა ამწყობი საამქროს უფროსის მოადგილემ პეტრე მატიუხოვმა, — ყოველდღიურად ვგრძნობთ ბოლშევიკური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის, პირადად ამხანაგ სტალინის, მშობლიურ მზრუნველობას. ჩვენი დანაზოგი მოხმარდება მშრომელთა კეთილდღეობის შემდგომ აღმავლობას. უდიდეს სიხარულს მგვრის იმის შეგნება, რომ ფული, რომელსაც სესხად მივცემ საშობლოს, მოხმარდება კომუნიზმის დიად მშენებლობებს. ახალი სესხის გამოშვებასთან დაკავშირებით ჩვენი საამქროს კოლექტივი დგება სტახანოვურ ვახტზე და კისრულობს ყოველთვიურად გამოუშვას ათასობით მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია.

მგზნებარე პატრიოტული სიტყვები წარმოთქვეს აგრეთვე მექანიკი შ. ქოსაშვილმა, ინჟინერმა შ. სახვაძემ და სხვებმა.

სიტყვით გამოსული ამხანაგები აღნიშნავდნენ, რომ ქართველი ხალხი, მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად, ყველა თავის გამარჯვებას უმადლის ბოლშევიკური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის, ამხანაგ სტალინის ბრძნულ ხელმძღვანელობას. მიტინგზე დიდხანს არ ცხრებოდა მქუხარე ტაში და ოვაცია საბჭოთა ხალხის, მთელი პროგრესული კაცობრიობის დიდი ბელადისა და მასწავლებლის იოსებ ბესარიონის-ძე სტალინის პატივსაცემად.

ჩვენი შრომითი მანეთები სამშობლოს ძლიერებისათვის

უდიდესი აღფრთოვანებით შეხვდა თბილისის ორჯონიკიძის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხნის კოლექტივი ცნობას სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების ახალი სახელმწიფო სესხის გამოშვების შესახებ. როგორც კი რადიოთი გადასცეს მთავრობის დადგენილება, ქარხანაში გაიმართა მიტინგი. პატრიოტული სიტყვა წარმოთქვა წარჩინებულმა მრავალდაზგოსანმა მოარავმა ლევან გოქაძემ, რომელმაც წლის დამდეგიდან 1,2 წლიური ნორმა შეასრულა.

— ახალი სესხის სახსრები, — თქვა მან, — მოხმარდება ჩვენი საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფოს — მთელ მსოფლიოში მშვიდობის ურყევი ბურჯის ძლიერების შემდგომ განმტკიცებას. ჩვენი შრომითი მანეთები დაიჩარებენ კომუნიზმის დიად მშენებლობათა განხორციელებას, ხელს შეუწყობენ საბჭოთა ადამიანების კეთილდღეობის შემდგომ გაუმჯობესებას.

საწარმოს მთელი კოლექტივის გრძნობები და ფიქრები გამოთქვა მოწინავე ოსტატმა ს. ოსიპოვმა.

— სამშობლოს საკეთილდღეოდ თავდადებული შრომით,—განაცხადა მან,— ჩვენ პირველობა მოვიპოვეთ ჩვენი ქვეყნის კვების მრეწველობის მანქანათმშენებლობის საწარმოთა საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში მიმდინარე წლის პირველი კვარტალის შედეგების მიხედვით. ჩვენ შემდეგშიც განვამტკიცებთ საყვარელი სამშობლოს ძლიერებას შრომითა და მანეთით. ერთსულოვნად მოვაწერთ ხელს ახალ სესხზე — კომუნიზმის მშენებლობის სესხზე, მშვიდობიანი შემოქმედებითი შრომის, მშრომელთა მატერიალური და კულტურული დონის შემდგომი ამაღლების სესხზე. (საქდესი).

კანონიერი სიამაყის გრძნობით

სტალინირი. (საკ. კორ.). სამხრეთ ოსეთის მშრომელები უდიდესი აღფრთოვანებით, საწარმოო და პოლიტიკური აღმავლობით შეხვდნენ სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების ახალი სახელმწიფო სესხის გამოშვებას. სესხის გამოშვების შესახებ რადიოთი ცნობის გადმოცემისთანავე საწარმოებსა და დაწესებულებებში, კოლმეურნეობებში მოწვეულ კრებებზე ყველგან გაისმოდა სოციალისტური სამშობლოსადმი, ლენინ-სტალინის პარტიისადმი, დიდი სტალინისადმი უსაზღვრო სიყვარულის გამომხატველი სიტყვები.

სტალინირის ხე-ტყის კომბინატის სტახანოველმა იოსებ კვაღინაძემ განაცხადა:

—თვითეული საბჭოთა ადამიანი კმაყოფილებით და კანონიერი სიამაყის გრძნობით ხვდება ცნობას ახალი სესხის გამოშვების შესახებ. ღრმად გვწამს, რომ სახელმწიფოსათვის სესხად მიცემული თვითეული მანეთით ჩვენს წვლილს შევიტანთ კომუნიზმის დიად მშენებლობებში.

— ჩვენი სურვილია, — განაცხადა სტალინირის რაიონის სოფელ თამარაშენის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა რეზო ბერუაშვილმა, — კიდევ უფრო მძლავრი და მდიდარი ვიხილოთ ჩვენი სამშობლო. თვითეულ ჩვენგანს აღფრთოვანებს იმაზე ფიქრი, რომ ჩვენი წვლილით მონაწილეობას მივიღებთ კომუნიზმის დიად მშენებლობებში, რომლებიც დიდი სტალინის ხელმძღვანელობით ხორციელდება. დაე ახალ სესხზე ჩვენი ერთსულოვანი ხელმოწერა იყოს ახალი მძლავრი დარტყმა ომის გამჩაღებლების წინააღმდეგ.

ახალი სესხის გამოშვებას ასეთივე აღფრთოვანებით შეხვდნენ ლენინგორის, ჯავისა და ზნაურის რაიონების მშრომელები.

ხალხმრავალი კრებები გორის საწარმოებში

გორი. (საკ. კორ.). ქალაქის მშრომელები ერთსულოვანი მოწონებით შეხვდნენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებას ახალი სესხის გამოშვების შესახებ. საწარმოებში გაიმართა ხალხმრავალი კრებები.

გორის საკონსერვო ქარხნის სტახანოველმა მერი სიმონიშვილმა ახალი სესხის გამოშვებისათვის მიძღვნილ კრებაზე განაცხადა:

— ჩვენ კარგად ვიცით, რომ ის სახსრები, რომლებსაც სესხად ვაძლევთ სახელმწიფოს, ხმარდება საბჭოთა ქვეყნის ძლიერებისა და აყვავების საქმეს, მშრომელთა კეთილდღეობის შემდგომი ამაღლების საქმეს. ამიტომ თვითეული ჩვენგანი ხალისით მოაწერს ხელს ახალ სესხს.

ახალი სესხის გამოშვებას ერთსულოვანი მოწონებით შეხვდნენ აგრეთვე გორელი ფიეიქრები, მშენებლები, მასწავლებლები, სტუდენტები და დიასახლისები.

კომუნიზმის მშენებლობის სესხი

როგორც კი გადმოსცა რადიომ საბჭოთა მთავრობის დადგენილება სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების ახალი სახელმწიფო სესხის გამოშვების შესახებ, თბილისის მაუდკამვოლის ფაბრიკის საამქროებში სახელდახელო მიტინგები გაიმართა. ფეიქრებმა უდიდესი კმაყოფილება გამოთქვეს ახალი სესხის გამოშვების გამო და ერთსულოვანი სურვილი განაცხადეს სოციალისტურ სახელმწიფოს სესხად მისცენ თავიანთი შრომითი დანაზოგი.

საქსოვ საამქროში მიტინგი გახსნა ცვლის ოსტატმა ე. ჯავახიშვილმა. ფაბრიკის პარტიული კომიტეტის მდივანმა ამხ. გ. ჩარაევმა მიტინგის მონაწილეებს გააცნო ახალი სესხის გამოშვების პირობები.

— ყველა საბჭოთა პატრიოტი, — თქვა მან, — სესხზე ერთსულოვნად მოაწერს ხელს, რადგან ჩვენი სესხი ხმარდება კომუნიზმის დიად ნაგებობათა მშენებლობას, ჩვენივე ცხოვრების პირობების შემდგომ გაუმჯობესებას.

—ჩვენი ქვეყანა წლითიწლობით უფრო მდიდარი და უძლეველი ხდება, — თქვა ოსტატის თანაშემწემ ნ. კრიჭაშვილმა, — საბჭოთა ადამიანები ახორციელებენ ბუნების გარდაქმნის გრანდიოზულ სამუშაოებს. ამ შემოქმედებითი შრომის ყოველი წელი გვაახლებს დიად მიზანთან — კომუნიზმთან. ახალი სესხი უფრო დაჩქარებს ჩვენს წინსვლას კომუნიზმისაკენ. ამიტომ სოციალისტურ სახელმწიფოს სიხარულით მივცემ სესხად ჩემს შრომითს დანაზოგს.

— უაღრესად ბედნიერი ვარ, რომ ვცხოვრობ საბჭოთა ქვეყანაში, — განაცხადა სტახანოველმა მქსოველმა მაყვალა ბარათაშვილმა, — ჩემთვის, როგორც ყველა საბჭოთა მუშისათვის, შექმნილია ნაყოფიერი შრომისა და შეძლებული, უზრუნველყოფილი ცხოვრების პირობები. შესაძლებლობა მაქვს საყოფაცხოვრებო და კულტურულ მოთხოვნილებების დაკმაყოფილების შემდეგ ჩემი ხელფასიდან მნიშვნელოვანი თანხა დავზოგო და ამ თანხის ნაწილი სესხად მივცე საყვარელ სამშობლოს. დაე ჩემი შრომითი დანაზოგი შეემატოს მთელი საბჭოთა ხალხის შრომითს დანაზოგს და მოხმარდეს დიდი ჰიდროელექტროსადგურების, სარწყავი სისტემების მშენებლობას, საბჭოთა ქვეყნის სახალხო მეურნეობის შემდგომ აღმავლობასა და აყვავებას.

მიტინგები გაიმართა აგრეთვე კამოლურ, სამღებრო-საარეტურო და სხვა საამქროებში.

საბჭოთა სამშობლოს შემდგომი აყვავებისათვის

ტყიბული. (საკ. კორ.). საბჭოთა მთავრობის დადგენილებამ ახალი სესხის გამოშვების შესახებ ტყიბულელ მეშახტეთა და რაიონის მშრომელთა მძლავრი პატრიოტული აღფრთოვანება გამოიწვია.

სტალინის სახელობის შახტში სახელდახელოდ მოწვეულ მიტინგზე მეშახტეთა აზრი და მისწრაფება შესანიშნავად გამოხატა სტახანოველმა მნგრეველმა ი. ორჯონიკიძემ. მან განაცხადა:

— მეშახტეებმა კარგად ვიცით, თუ რას ხმარდება ჩვენი შრომითი დანაზოგი, რომელსაც სესხად ვაძლევთ საყვარელ სამშობლოს. მთელ ჩვენს ქვეყანასთან ერთად იზრდება და მშვენდება მშობლიური ქალაქი ტყიბული. უკანასკნელ წლებში აშენდა საბავშვო ბაღი და ბაგა, აიგო მუშათა კლუბი, საშუალო სკოლა და მრავალი საცხოვრებელი სახლი მეშახტეებისათვის. ახალი სესხის წარმატებით გავრცელება ხელს შეუწყობს კომუნიზმის მშენებლობის კიდევ უფრო ფართოდ გაჩაღებას, მთელ მსოფლიოში მშვიდობის საქმის უფრო მეტად განმტკიცებას. ჩვენ, მეშახტეები არ დავიშურებთ არც შრომას და არც დანაზოგებს საყვარელი საბჭოთა სამშობლოს შემდგომი აყვავებისათვის.

მიტინგზე პატრიოტული სიტყვები წარმოთქვეს და ახალი სესხის გამოშვება ერთსულოვნად მოიწონეს სტახანოველმა მეშახტეებმა ა. ბაკურაძემ, შ. ფურცხვანიძემ, გ. კუბლაშვილმა, ნ. ნანიკაშვილმა და სხვებმა.

ცნობამ ახალი სესხის გამოშვების შესახებ დიდი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობა გამოიწვია საპირველმაისო სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებული ლენინის სახელობის შახტის კოლექტივში. მოწინავე სტახანოველებმა ლ. გოჩელაშვილმა, ნ. მუშკუდიანმა, ფ. კრასიკოვმა, კ. ცირეკიძემ, თამარ ბეროძემ და სხვებმა განაცხადეს, რომ სიხარულით მისცემენ სესხად საყვარელ სამშობლოს თავიანთ დანაზოგებს, ამასთან ყოველდღიურ ნორმებს შეასრულებენ 180-200 პროცენტით.

ქუთაისის მშრომელთა სიტყვა

ქუთაისი. (საკ. კორ.). აბრეშუმის კომბინატის პირველი საქსოვი საამქროს „ა“ ცვლის სახელდახელო მიტინგზე მრავალი ფეიქარი შეიკრიბა. ქსოვის ინსტრუქტორმა აგრაფინა დანელიამ, რომელიც 17 წელიწადია საწარმოში მუშაობს, მიტინგზე განაცხადა:

— სულით და გულით მივესალმები ახალი სესხის გამოშვებას. იგი უფრო განამტკიცებს ჩვენი სამშობლოს ძლიერებას. პირობას ვიძლევი კიდევ უფრო მეტი ენერგიით ვიმუშაო ჩემს საწარმოო ობიექტზე.

ოსტატის თანაშემწემ სტახანოველმა გოგლა კუტიავაძემ თქვა:

— საბჭოთა პატრიოტების მოვალეობაა არა მარტო შემოქმედებითი შრომით, არამედ თავისი დანაზოგებითაც დაეხმარონ სამშობლოს. ახალი სესხის წარმატებით გავრცელება მშვიდობის განმტკიცების საქმეში შეტანილი ღირსეული წვლილი იქნება.

მაუდის ფაბრიკის ახალგაზრდა სტახანოველმა ეუჟენა შანიძემ თავის სიტყვაში გამოხატა ის დიდი კმაყოფილება, რომელსაც თვითეული საბჭოთა პატრიოტი განიცდის იმით, რომ სამშობლოს სესხად მისცემს თავის დანაზოგს.

ხალხის კეთილდღეობისათვის

ბათუმი. (საკ. კორ.). გუშინ ბათუმის საწარმოებსა და დაწესებულებებში მოეწყო ახალი სესხის გამოშვებისადმი მიძღვნილი ხალხმრავალი მიტინგები.

სტალინის სახელობის ნავთობგადამუშავებელი ქარხნის პირველ საამქროში შეკრებილთ ახალი სესხის დანიშნულება გააცნო საამქროს უფროსმა ს. დოლიძემ. მან ილაპარაკა საბჭოთა ხალხის ისტორიულ გამარჯვებებზე და სახელმწიფო სესხის მნიშვნელობაზე.

მიტინგზე პირველმა აიღო სიტყვა ნავთობგადამუშავების ოსტატმა, წარჩინებულმა ოპერატორმა ხ. კორძაიამ.

— ჩვენი სახელმწიფოს სესხები, — განაცხადა მან, — მშვიდობის საიმედო ბურჯის — სოციალისტური სამშობლოს ძლიერების შემდგომი განმტკიცების დიდნაშენშენელოვანი წყაროა. ახალი სესხი, ისევე როგორც წინა სესხები, მთლიანად მოხმარდება ჩვენი ქვეყნის შემდგომი აყვავების საქმეს, რგი დაიჩარებს კომუნიზმის დიად მშენებლობათა განხორციელებას. მე სიამოვნებით მივცემ სამშობლოს ჩემს დანაზოგს, ხელს მოვაწერ თვენახევრის ხელფასზე და აქეთკენ მოვეწოდებ ჩვენი ქარხნის ყველა მუშას.

მიტინგზე პატრიოტული სიტყვით გამოვიდნენ სტახანოველი ზეინკალი ი. რუსიძე და მოწინავე ოპერატორი ი. გოლოვენკო. სახელოვანმა მენავთეებმა გადაწყვიტეს ერთსულოვნად მოაწერონ ხელი ახალ სესხს და ამით თავიანთი წვლილი შეიტანონ კომუნიზმის მშენებლობაში. დიდი აღფრთოვანებით ჩატარდა მიტინგები ქარხნის სხვა საამქროებშიც.

სოციალისტური სამშობლოს შემდგომი აყვავების სესხი

★

ძ. სოხაძე

საქართველოს სსრ ფინანსთა მინისტრი

★

საბჭოთა ხალხი ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით, დიდი სტალინის წინამძღოლობით ახორციელებს სახალხო მეურნეობის განვითარების გრანდიოზულ პროგრამას, კომუნიზმის მშენებლობის პროგრამას.

სსრ კავშირის 1952 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი მკაფიოდ ასახავს საბჭოთა ხალხის ურყევ მისწრაფებას ახალ გამარჯვებათა მოპოვებისაკენ, კომუნისტური საზოგადოების აშენებისაკენ. ბიუჯეტში გამოხატულია ბოლშევიკური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მიერ დასახული დიდი ამოცანები მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, ტრანსპორტის შემდგომი განვითარებისათვის, საქონლებრუნვის გაფართოებისა და საბჭოთა კავშირის მოქალაქეთა მატერიალური კეთილდღეობის ამაღლებისათვის.

საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტის უმნიშვნელოვანესი თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ მისი საშემოსავლო ნაწილის 80 პროცენტზე მეტს უზრუნველყოფს მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, ტრანსპორტისა და ვაჭრობის შემოსავალი. რაც შეეხება მოსახლეობის გადასახადებს—ეს გადასახადები ბიუჯეტის მთელი შემოსავლის მხოლოდ 9,3 პროცენტს შეადგენს.

სსრ კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყაროა მოსახლეობის სახსრები, რომლებსაც იგი ნებაყოფლობით აძლევს სახელმწიფოს სესხების სახით. ეს სახსრები ხმარდება სახალხო მეურნეობის განვითარებას, კომუნიზმის დიად მშენებლობებს, საბჭოთა ხალხის მატერიალური კეთილდღეობისა და კულტურული დონის ამაღლებას, ჩვენი სამშობლოს თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებას.

მიუხედავად იმისა, რომ ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის მმართველი წრეები ომის ფსიქოზს ქმნიან, საბჭოთა სახელმწიფოს თავდაცვითი ხარჯები სსრ კავშირის ბიუჯეტში 1952 წლისათვის მხოლოდ 23,9 პროცენტს შეადგენს.

ნაციონალური შემოსავლის განუხრელი ზრდა, მშრომელთა კეთილდღეობის სისტემატური ამაღლება და საბჭოთა ადამიანების მაღალი პატრიოტიზმი მტკიცე საფუძველს ქმნიან საბჭოთა სახელმწიფო სესხების გავრცელებისათვის. ჩვენი სესხები — ნამდვილად სახალხო სესხებია, ჩვენი ქვეყნის 70 მილიონზე მეტი მშრომელი სახელმწიფო სესხთა ობლიგაციების მფლობელია. ჩვენმა სახელმწიფო სესხებმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს ომისშემდგომი სტალინური ხუთწლედის განხორციელებაში.

წარმატებით დაამთავრა რა ომისშემდგომი პირველი ხუთწლედი, საბჭოთა ხალხი ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით, დიდი სტალინის წინამძღოლობით ახალ-ახალ შესანიშნავ გამარჯვებებს აღწევს სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში, რწმენით მიდის წინ, კომუნიზმისაკენ.

საბჭოთა კავშირის ყველა ხალხთან ერთად საქართველოს მშრომელებმა 1951 წელს ახალი წარმატებები მოიპოვეს სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ყველა დარგში. შარშან საქართველოს მრეწველობამ პროდუქციის გამოშვების გეგმა 108 პროცენტით შეასრულა და წინა წელთან შედარებით სამრეწველო წარმოების მოცულობა 13 პროცენტით გაადიდა.

საქართველოს კოლმეურნეები იბრძვიან ხორბლეულის მოსავლიანობის ამაღლებისა და უახლოეს წლებში რესპუბლიკის საკუთარი წარმოების პურით დაკმაყოფილების უზრუნველყოფისათვის.

ყველა ამ წარმატებას საქართველოს მშრომელებმა, ისე როგორც მთელმა საბჭოთა ხალხმა, მიაწიეს ლენინ-სტალინის პარტიის ბრძნული ხელმძღვანელობით, დიდი სტალინის წინამძღოლობით.

მიუხედავად ამისა, ჯერ კიდევ მნიშვნელოვანი ნაკლოვანებებია. ზოგიერთი სამინისტროს და ცენტრალური დაწესებულებების, საწარმოებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელები ნაკლებად ზრუნავენ სასაქონლო პროდუქციის გამოშვების სახელმწიფო გეგმების დაწესებული ასორტიმენტით შესრულებისათვის, სერიოზული ნაკლოვანებანი აქვთ სამეურნეო ხელმძღვანელობაში, ყველა საბჭოთა და კოლექტიურ მეურნეობაში არ არის უზრუნველყოფილი სასოფლო - სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის ამაღლება და მეცხოველეობის განვითარების სახელმწიფო გეგმების შესრულება.

იმ დროს, როდესაც სსრ კავშირის ეკონომიკა არნახული ტემპით ვითარდება, სამრეწველო წარმოება ამერიკის შეერთებულ შტატებში 1951 წლის განმავლობაში გაყინული იყო ერთ დონეზე. უფრო ცუდი მდგომარეობაა ინგლისში, საფრანგეთში, იტალიაში და სხვა კაპიტალისტურ ქვეყნებში. და

ქუთაისის პირველი საოლქო პარტიული კონფერენცია

26-27 აპრილს გაიმართა ქუთაისის პირველი საოლქო პარტიული კონფერენცია. კონფერენციამ განიხილა საოლქო კომიტეტის ბიუროს საანგარიშო მოხსენება.

—ქუთაისის ოლქის მშრომელებმა,— თქვა თავის მოხსენებაში პარტიის საოლქო კომიტეტის მდივანმა ამხ. ს. საყვარელიძემ, — რესპუბლიკის მშრომელებთან ერთად ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით გადაჭარბებით შეასრულეს სახალხო მეურნეობის განვითარების 1951 წლის გეგმა. საანგარიშო პერიოდში ოლქის მრეწველობაში მნიშვნელოვნად გაიზარდა შრომის ნაყოფიერება და შემცირდა პროდუქციის თვითღირებულება.

ჭიათურის მარგანეცის ტრესტმა სასაქონლო მარგანეცის მოპოვების 1951 წლის გეგმა 116,4 პროცენტით შეასრულა. განსაკუთრებით დაწინაურდნენ სტალინის, ორჯონიკიძისა და დიმიტროვის სახელობის მაღაროთა სამმართველოები. შრომის მოწინავე მეთოდების ფართოდ დანერგვით მათ დიდი გადამეტებით შეასრულეს გასული წლის გეგმები.

ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ ჭიათურის მარგანეცის ტრესტი არასაკმაო ზომებს იღებს წარმოებაში მექანიზაციის სრულყოფილად დანერგვისათვის, რასაც მოწმობს ის ფაქტი, რომ 86,4 პროცენტი მარგანეცის დატვირთვა-გადმოტვირთვა ხელით წარმოებს.

მიუხედავად იმისა, რომ ზესტაფონის ბერიის სახელობის ფეროშენადნობთა ქარხანამ 1951 წლის საწარმოო გეგმა მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შეასრულა, აქ ჯერ კიდევ მოწესრიგებული არ არის ნედლეულის, მასალებისა და ელექტროენერგიის მომჭირნეობით ხარჯვა. ქარხნის პარტიული და სამეურნეო ხელმძღვანელები საჭირო ზომებს არ იღებენ წარმოებაში ახალი, მოწინავე ტექნიკის დანერგვისათვის, ხოლო ზოგიერთი ხელმძღვანელი მუშაკი ფორმალურ-ბიუროკრატიულ დამოკიდებულებას იჩენს გამომგონებლობისა და რაციონალიზატორული წინადადებისადმი.

დიდი ამოცანები დგას ოლქის ქვანახშირის მრეწველობის წინაშე. ტყიბულის ქვანახშირის ტრესტმა გასული წლის გეგმა გადამეტებით შეასრულა, მაგრამ ტრესტის არადამაკმაყოფილებელი მუშაობის შედეგად გეგმები არ სრულდება ასორტიმენტის მიხედვით, წარმოებას გამოუყენებელი რეზერვები აქვს, შახტების თვალსაჩინო ნაწილის სამძღვარე სრულად არ არის გამოყენებული. პარტიის ტყიბულის რაიონული კომიტეტი საკმაო ღონისძიებებს არ ახორციელებს ქვანახშირის შახტების ნორმალური მუშაობის უზრუნველსაყოფად.

გასულ წელს მოქმედ საწარმოთა მწყობრში ჩადგა ქუთაისის საავტომობილო ქარხანა. პროდუქციის გამოშვების მიმდინარე წლის პირველი კვარტალის გეგმა ქარხანამ 106,6 პროცენტით შეასრულა. შარშან რაციონალიზატორულ წინადადებათა განხორციელებამ წარმოებას 1.325 ათასი მანეთი ეკონომია მისცა.

მაგრამ საავტომობილო ქარხნის მუშაობაში არის არსებითი ნაკლოვანებანი: გამოუყენებელია დიდი რეზერვები მასალების ხარჯვისა და პროდუქციის თვითღირებულების შესამცირებლად, მთელი სიმძლავრით არ არის გამოყენებული მანქანა-დანადგარები, არის მუშახელის დენადობა, ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა მუშათა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას, ქარხნის ტერიტორიაზე სისუფთავისა და წესრიგის დაცვას.

მომხსენებელმა ილაპარაკა ოლქში ლენინის მრეწველობის განვითარების პერსპექტივებზე და გააკრიტიკა შამანკომბინატი და სამტრესტი, რომლებიც ჯეროვან ყურადღებას არ აქცევენ ყურძნის მიმღები და გადამამუშავებელი პუნქტების წესრიგზე მოყვანას.

მომხსენებელი ვრცლად შეჩერდა სოფლის მეურნეობის საკითხებზე, ილაპარაკა კოლმეურნეობათა გამსხვილების დიდ პოლიტიკურ და სამეურნეო მნიშვნელობაზე, დაასახელა გამსხვილებულ კოლმეურნეობათა ორგანიზაციული და საძეურნეო განმტკიცების ძირითადი ფაქტი, მოიყვანა კოლმეურნეთა ფულადი და ნატურალური შემოსავლის ზრდის მაგალითები და, ბოლოს, დაწვრილებით ილაპარაკა იმ დიდ ნაკლოვანებებზე, რაც პარტიის რაიონულ კომიტეტებსა და პირველადს პარტიულ ორგანიზაციებს საკოლმეურნეო მშენებლობისადმი ხელმძღვანელობაში აქვთ.

ოლქში ბევრი ჩამორჩენილი კოლმეურნეობაა, რომელთა შემოსავალი ძალიან მცირეა. მარცვლეული და ტექნიკური კულტურების დაბალი მოსავლიანობის შედეგად კოლმეურნეობათა ერგრძნობ ნაწილში მცირეა შრომადღის ნაზღაურება. გასულ წელს შრომადღეზე უმნიშვნელო რაოდენობით გასცეს ფული და პროდუქტები ჭიათურისა და თერჯოლის რაიონის მთელ რიგ კოლმეურნეობებში.

სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა ჩაშორჩენა და მოსავლიანობის შემცირება გამოწვეულია იმით, რომ კოლმეურნეობებში მოუწესრიგებელია შრომა. მარშან აბაშის რაიონში საკოლმეურნეო შრომაში მონაწილეობა არ მიიღია კოლმეურნეთა მნიშვნელოვან რიცხვს, ვანის რაიონში შრომადღეების ვალდებულო მინიმუმი არ გამოუმუშავებია შრომისუნარიან კოლმეურნეთა 27 პროცენტს. ანალოგიური ფაქტებია ზესტაფონის, ონჯონიკიძის, ხობის, ცაგერის, თერჯოლისა და გეგეჭკორის რაიონებში.

მომხსენებელმა მკაცრად გააკრიტიკა ხობის, გეგეჭკორის, ჩხოროწყუს, აბაშის, ვანის, ზემო სვანეთისა და სხვა რაიონების პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოები, რომლებმაც დაუშვეს კოლმეურნეობებში სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდებისა და საბჭოთა კანონიერების უხეში დარღვევები.

ოლქის მთელ რიგ რაიონებში დაბალია სასოფლო-სამეურნეო კულტურათა მოსავლიანობა, რაც იმის შედეგია, რომ პარტიის რაიკომები არასაკმაო ზომებს იღებენ დარღვევებისა და ნაკლოვანებების გასაძლასწორებლად, ღრმად ვერ სწვდებიან კოლმეურნეობის ეკონომიკას, საჭირო დახმარებას არ უწევენ კოლმეურნეობათა გამგეობებს და საკოლმეურნეო პარტიულ ორგანიზაციებს გამოუყენებელი რეზერვების გამონახვაში, შრომის ორგანიზაციისა და დისციპლინის განმტკიცებაში.

—ქუთაისის ოლქში 23 მანქანა-ტრაქტორთა სადგურია, — თქვა მომხსენებელმა, — ბევრი მათგანი ცუდად მუშაობს. ვერ ასრულებს სატრაქტორო სამუშაოთა გეგმებს, უხარისხოდ სრულდება ტრაქტორებისა და სხვა იარაღ-მანქანების რემონტი, არის ტრაქტორების დიდი მოცდენა. თერჯოლის, ზესტაფონის, წულუკიძის, წალენჯიხის, ჩხოროწყუსა და სამტრედიის მტს-ების ცუდი მუშაობა იმით აიხსნება, რომ დასახელებული რაიონების პარტიული ორგანიზაციები არადამაკმაყოფილებლად მუშაობენ სოფლის მეურნეობაში მექანიზაციის გამოყენების საკითხებზე.

სერიოზული ჩამორჩენაა მეცხოველეობაში. განსაკუთრებით დაბალია პირუტყვის პროდუქტიულობა. საანგარიშო პერიოდში მეცხოველეობის განვითარების სახელმწიფო გეგმა ვერ შეასრულეს წყალტუბოს, ზუგდიდის, წალენჯიხის, საჩხერის, ონჯონიკიძის, ონის, ამბროლაურის, ცაგერისა და ხობის რაიონებმა. უხეში და კონცენტრირებული საკვების მოუმარაგებლობისა და ცუდი მოვლა-პატრონობის შედეგად ლანჩხუთის, ხობის, ცაგერის, სამტრედიისა და სხვა რაიონებში ადგილი ჰქონდა პირუტყვის დახოცვას.

ამხ. საყვარელიძემ ვრცლად ილაპარაკა იმ სერიოზულ დარღვევებსა და ნაკლოვანებებზე, რასაც ადგილი აქვს ოლქის საკარო ორგანიზაციებში. კადრების შერჩევისა და განაწილებისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულებისა და ვაჭრობის მუშაკთა შორის პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის არადამაკმაყოფილებლად დაყენების შედეგად ქ. ქუთაისში, ტყიბულის, ცაგერისა და სხვა რაიონებში იყო სახელმწიფო და კოოპერაციული საკუთრების გაფლანგვა-დატაცების აღმაშფოთებელი ფაქტები.

მომხსენებელმა კონფერენციის მონაწილეთა ყურადღება გაამახვილა სასამართლო-პროკურატურის მუშაობაში არსებულ სერიოზულ დარღვევებსა და ნაკლოვანებებზე, აღნიშნა, რომ ქ. ქუთაისში, აბაშის, სამტრედიისა და სხვა რაიონებში არის ბოროტმოქმედთა საქმეების გამოძიების გაჭიანურების, გამფლანგველებისა და მექრთამეების მფარველობის, მათ მიმართ მსუბუქი განაჩენების გამოტანის ფაქტები.

—ოლქის უმაღლეს სასწავლებლებში, სკოლებში და სკოლისგარეშე დაწესებულებებში, — თქვა მომხსენებელმა, — არის სერიოზული ნაკლოვანებები. ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის მუშაობაში არ არის დანერგული ჯანსაღი კრიტიკა და თვითკრიტიკა. მეცნიერ მუშაკთა ერთ ნაწილში არაკოლეგიალური დამოკიდებულებაა, რაც უარყოფით გავლენას ახდენს ინსტიტუტის საქმიანობაზე.

შეეხო რა იდეოლოგიური მუშაობის საკითხებს, მომხსენებელმა მკაცრად გააკრიტიკა ოლქის შემოქმედებითი ორგანიზაციების მუშაობა. აღნიშნა ზუგდიდისა და ფოთის თეატრების ცუდი მუშაობა, მათ მიმართ პარტიული ორგანიზაციების სუსტი ხელმძღვანელობა. გააკრიტიკა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ქუთაისის განყოფილების მუშაობის სერიოზული ნაკლოვანებანი.

ამხ. საყვარელიძემ ილაპარაკა ოლქის პარტიული ორგანიზაციების პარტიულ-ორგანიზაციული და პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის საკითხებზე: პარტიული ორგანიზაციების საგრძნობი ნაწილი, რომელიც გატაცებული იყო სამეურნეო და კულტურული მშენებლობის დარგში მიღწეული საერთო წარმატებებით, ივიწყებდა პარტიულ-პოლიტიკურ მუშაობას, მასების კომუნისტურად აღზრდის უმნიშვნელოვანეს ამოცანებს, ნაკლოვანებათა ბოლშევიკური კრიტიკისა და თვითკრიტიკის, შინაპარტიული დემოკრატიის ფართოდ გაშლის, მაღალი იდეურობისა და პრინციპულობის სულისკვეთებით კომუნისტების აღზრდის საკითხებს, ივიწყებდა ამხანაგ სტალინის მითითებას იმის შესახებ, რომ საჭიროა განუწყვეტლივ გავაუმჯობესოთ მუშაობის სტილი და მეთოდები, განვამტკიცოთ კავშირი მასებთან და ავამაღლოთ პარტიულ-პოლიტიკური და პარტიულ-ორგანიზაციული მუშაობის დონე.

ქუთაისის საქალაქო პარტიულ ორგანიზაციაში სუსტად იყო დაყენებული პარტიულ-პოლიტიკური და პარტიულ-ორგანიზაციული მუშაობა. პატივისცემით არ სარგებლობდა კრიტიკა და თვითკრიტიკა. არ იყო ნამდვილი ბრძოლა კრიტიკის ჩამხშობთა წინააღმდეგ. ეს იმის შედეგი იყო, რომ საქალაქო კომიტეტის მდივნები გ. ნარსია, დ. კოპალიანი და ნ. კიკაჩიშვილი ფორმალურად, ბიუროკრატიულად ხელმძღვანელობდნენ ქალაქის პარტიულ ორგანიზაციებს, მფარველობას უწევდნენ სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების დამტაცებლებს, მექრთამეებს. ამხ. საყვარელიძემ გააკრიტიკა პარტიის საოლქო კომიტეტისა და საოლქო აღმასკომის მუშაობის ნაკლოვანებანი.

დასასრულ მომხსენებელი შეეხო ქუთაისის ოლქის პარტიული ორგანიზაციების წინაშე მდგომ საბრძოლო ამოცანებს.

პარტიის ქუთაისის საოლქო კომიტეტის ბიუროს ანგარიშის გამო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღო 22 კაცმა.

პარტიის ტყიბულის რაიკომის მდივანმა ამხ. პ. ბაქრაძემ ილაპარაკა რაიონის პარტიულ ორგანიზაციებში პარტიულ-პოლიტიკური და პარტიულ-ორგანიზაციული მუშაობის ნაკლოვანებებზე. აღნიშნა, რომ საწარმო-დაწესებულებებსა და კოლმეურნეობებში პოლიტიკური მუშაობის ჩამორჩენისა და მასებთან პარტიული ორგანიზაციების კავშირის შესუსტების შედეგად რაიონში შენელდა პარტიის რიგების ზრდა. 111 პირველადი პარტიული ორგანიზაციიდან გასულ წელს მხოლოდ 22-ში წარმოებდა პარტიაში მიღება. ძლიერ სუსტად არის დაყენებული პარტიაში ახლად მიღებულთა შორის მუშაობა.

ამხ. ბაქრაძე შეეხო რაიონის კომკავშირის ორგანიზაციისადმი პარტიული ხელმძღვანელობის სერიოზულ ნაკლოვანებებს. ილაპარაკა რაიონის ხელმძღვანელი ორგანოების სუსტ მუშაობაზე სოციალისტური საკუთრების დაცვისა და საბჭოთა კანონიერების განმტკიცებისათვის, რის შედეგადაც რაიონში იყო სახელმწიფო ქონების გაფლანგვა-დატაცების ფაქტები. მან ამხილა რაიონის მილიციის მოუქნელი მუშაობა და მილიციის უფროსის კიკნაძის არაკეთილსინდისიერი მოქმედება. გააკრიტიკა ტყიბულის ქვანახშირის ტრესტის მუშაობაში არსებული სერიოზული ნაკლოვანებანი, რაც იწვევს წარმოების ცალკეული უბნების ჩამორჩენას.

პარტიის ზუგდიდის რაიკომის მდივანმა ამხ. მ. კუჭავამ აღნიშნა, რომ ზუგდიდის რაიონში იყო სახელმწიფო, კოოპერაციული და საკოლმეურნეო ქონების გაფლანგვა-დატაცების, სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების ამაკარა საწინააღმდეგო მოქმედების, მარცვლეული და ტექნიკური კულტურების მოსავლიანობისა და მეცხოველეობის სახელმწიფო გეგმების ჩაშლის აღმშფოთებელი ფაქტები. კოლმეურნეობებში მოუწესრიგებელი იყო შრომა, უხეშად ირღვეოდა შრომის დისციპლინა. რაიონში სრულიად ჩაშლილი იყო პარტიულ-პოლიტიკური მუშაობა.

ამხ. კუჭავამ აღნიშნა, რომ ახლა რაიონის პარტიული და საბჭოთა ორგანოები მუშაობენ აღნიშნული დამახინჯებებისა და ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად, მაგრამ არაფერი თქვა იმაზე, თუ კონკრეტულად რა ღონისძიებებს ახორციელებს პარტიის რაიონული კომიტეტი ზუგდიდის რაიონში შექმნილი მდგომარეობის გამოსასწორებლად.

პარტიის საოლქო კომიტეტის სასოფლო-სამეურნეო განყოფილების გამგემ ამხ. გ. აბესაძემ თავისი გამოსვლა მიუძღვნა ოლქის კოლმეურნეობებში სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების უხეში დარღვევების, წაკოლმეურნეო მიწების დატაცების ფაქტების გაშუქებას. მან თქვა, რომ ხობის, ზუგდიდის, ქვემო სვანეთის, მახარაძისა და მთელი რიგი სხვა რაიონის კოლმეურნეობებში დიდი რაოდენობით ირიცხება დებიტორული დავალიანება. ამ დამახინჯებებისა და დარღვევების სალიკვიდაციოდ რაიონის ხელმძღვანელი პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოები საკმაო ზომებს არ იღებენ. მაგრამ ამხ. აბესაძემ თითქმის არაფერი თქვა პარტიულ-პოლიტიკური და ორგანიზაციული მუშაობის ნაკლოვანებათა მიზეზებზე.

ამიერკავკასიის რკინიგზის სამტრედიის პოლიტგანყოფილების უფროსი ამხ. ი. მგელაძე შეეხო რკინიგზის ტრანსპორტის მუშაკთა შორის პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის ნაკლოვანებებს, მკაცრად გააკრიტიკა რკინიგზის სამტრედიის განყოფილების მუშაობაში დამკვიდრებული მანკიერი სტილი, კადრების შერჩევისა და განაწილების არასწორი პრაქტიკა, ამხილა კრიტიკის ჩახშობისა და კრიტიკის ჩამხშობთა აშკარა მფარველობის ფაქტები. აღნიშნა, რომ განყოფილების უფროსი ამხ. მაკაბერიძე უპასუხისმგებლოდ ეკიდება კადრების შერჩევას, ზოგჯერ აწინაურებს ისეთ პირებს, რომლებიც მხილებული არიან დანაშაულებრივ მოქმედებაში.

საოლქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ამხ. ბ. ლომიძემ მკაცრად გააკრიტიკა პარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის მუშაობაში დაშვებული შეცდომები. ილაპარაკა ქალაქის კომუნალური მეურნეობის საწარმოთა მოუქნელ მუშაობაზე, ქალაქის მოსახლეობის ელექტროენერგიით და წყლით მომარაგების ნაკლოვანებებზე.

შეეხო რა სოფლის მეურნეობის საკითხებს, ამხ. ლომიძემ აღნიშნა სერიოზული დარღვევები და ნაკლოვანებები საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების შესრულებაში, ყურადღება გაამახვილა საკოლმეურნეო შრომის დისციპლინის განმტკიცებისა და სასოფლო-სამეურნეო არტელის სტალინური წესდების განუხრელად გატარების საკითხებზე.

კონფერენცია ვერ დააკმაყოფილა ქუთაისის საავტომობილო ქარხნის პარტიული კომიტეტის მდივნის ამხ. თ. ღიბრაძის გამოსვლამ. მან მორიდებულად გააკრიტიკა პარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტისა და მისი ყოფილი მდივნების გ. ნარსიას, დ. კოპალიანის და ნ. კიკაჩიშვილის მიერ დაშვებული დარღვევები და ჩავარდნები, ხოლო არაფერი თქვა თავისი მლიქვნელობის შესახებ ქალაქის ხელმძღვანელი მუშაკების მიმართ. ამხ. ღიბრაძის გამოსვლამ აგრეთვე ცხადყო, რომ იგი კარგად არ იცნობს წარმოების საკითხებს, ღრმად ვერ სწვდება საწარმოს ეკონომიკას, გამოუყენებელ რეზერვებს და საჭირო დახმარებას არ უწევს სამეურნეო ხელმძღვანელობას ნაკლოვანებათა გამოსწორებაში.

კონფერენცია ვერ დააკმაყოფილა აგრეთვე პარტიის ხობის რაიკომის მდივნის ამხ. კ. შარტავას და პარტიის ცხაკაიას რაიკომის მეორე მდივნის ამხ. ა. ძაძამიას გამოსვლამ. ამხ. შარტავამ თავი აარიდა იმ სერიოზული დარღვევებისა და ჩავარდნების კრიტიკას, რომლებიც ცხაკაიას რაიონში მისი მუშაობის დროს იყო. ასევე მოიქცა ამხ. ძაძამია, რომელმაც მოკრძალებით ილაპარაკა იმ დამახინჯებათა შესახებ, რაც გამოვლინებულია რაიონში.

ამხ. გ. ნარსიამ თავის გამოსვლაში აღიარა, რომ პარტიის საქალაქო კომიტეტი, რომელსაც იგი დიდი ხნის მანძილზე ხელმძღვანელობდა, გატაცებული იყო სამეურნეო საქმიანობით და ყურადღებას არ აქცევდა პარტიულ-პოლიტიკურ მუშაობას. ქალაქის პარტიულ ორგანიზაციებში პატივისცემით არ სარგებლობდა კრიტიკა და თვითკრიტიკა. იყო კრიტიკის ჩახშობის შემთხვევები, უხეშად ირღვეოდა შინაპარტიული დემოკრატია. პარტიის საქალაქო კომიტეტის ხელმძღვანელი მუშაკები იშვიათად დადიოდნენ საწარმოდაწესებულებებში, არ ეხმარებოდნენ პირველადს პარტიულ ორგანიზაციებს მუშაობაში. საქალაქო კომიტეტის მდივნები და განყოფილებათა გამგეები მფარველობას უწევდნენ არაკეთილსინდისიერ მუშაკებს, რომლებიც თანამდებობას ბოროტად იყენებდნენ, საკმაო ზომებს არ იღებდნენ სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების დამტაცებლებისა და საბჭოთა კანონიერების დამრღვევთა წინააღმდეგ.

პარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის ყოფილმა მდივანმა ამხ. ნ. კიკაჩეიშვილმა გულწრფელად არ აღიარა თავისი შეცდომები და ჩავარდნები, შეეცადა მიეჩქმალა ბოროტმოქმედთა, კრიტიკის ჩამხშობთა მიმართ მფარველობის ფაქტები და კადრების შერჩევასა და განაწილებაში დაშვებული მანკიერი პრაქტიკა.

კონფერენციაზე სიტყვით გამოვიდა საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. რ. კვირკველია. მან ვრცლად ილაპარაკა საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ყოფილი ხელმძღვანელობის მიერ დაშვებულ შეცდომებზე. აღნიშნა, რომ ისინი მოწყვეტილი იყვნენ მასებს, მათ მუშაობაში დამკვიდრებული იყო თვითდამშვიდების ობივატელური განწყობილება, ახშობდნენ კრიტიკას. უზრუნველყოფილი არ იყო პარტიული ორგანიზაციების აქტიური ბრძოლა სახელმწიფო ქონების დამტაცებელთა, მექრთამეთა და საბჭოთა კანონიერების დამრღვევთა გამოვლინებისა და დასჯისათვის. უხეში შეცდომები იყო დაშვებული კადრების შერჩევისა და განაწილების საქმეში. პარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს ეს მანკიერი სტილი დანერგილი იყო თბილისის, ქუთაისისა და სხვა საქალაქო და რაიონული პარტიული ორგანიზაციების მუშაობაში.

ამხ. კვირკველიამ მკაცრად გააკრიტიკა პარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის ყოფილი მდივნების გ. ნარსიას, დ. კოპალიანისა და ნ. კიკაჩეიშვილის მიერ დაშვებული შეცდომები.

დასასრულ ამხ. კვირკველიამ კონფერენციის ყურადღება გაამახვილა ქუთაისის ოლქის პარტიული ორგანიზაციების წინაშე დასახულ ამოცანებზე.

საქართველოს კ. პ. (ბ) ქუთაისის საოლქო კომიტეტის ბიუროს საანგარიშო მოხსენების გამო კამათში გამოვიდნენ აგრეთვე ნ. ფანცხავა (ქუთაისის საქალაქო კომიტეტის პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების განყოფილების გამგე), ვ. ჯანჯოვა, შ. მიქაბერიძე (ლიტოპონის ქარხნის პარტკომის მდივანი), გ. საბახტარაშვილი (ცხაკაიას რაიონის სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგე), ს. რუხაძე (პარტიის ქუთაისის რაიკომის მდივანი), შ. ხიტირი (პარტიის ლანჩხუთის რაიკომის მდივანი), ზ. კიკნაძე (პარტიის ზესტაფონის რაიკომის მდივანი), ტ. ფოფხაძე (ჭიათურის „მარგანტრესტის“ სტახანოველი), რ. კანდელაკი (კომკავშირის ქუთაისის საოლქო კომიტეტის მდივანი), ი. ჩოჩია (პარტიის ფოთის საქალაქო კომიტეტის მდივანი), ფ. სებისკვერაძე (საქართველოს სსრ სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს ქუთაისის საოლქო სამმართველოს უფროსი).

კონფერენციამ პარტიის ქუთაისის საოლქო კომიტეტის ბიუროს განვლილი მუშაობა ცნო დამაკმაყოფილებლად, დასახა ღონისძიებანი პარტიულ-პოლიტიკური და პარტიულ-ორგანიზაციული მუშაობის გარდაქმნის, საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებათა და პირადად ამხანაგ სტალინის მითითებათა ბოლშევიკურად განხორციელების უზრუნველსაყოფად.

კონფერენციის მონაწილეებმა უდიდესი აღფრთოვანებით მიიღეს მისალმება პარტიისა და ხალხთა დიდი ბელადის ამხანაგ ი. ბ. სტალინისადმი. კონფერენციამ მისალმება გაუგზავნა სტალინის ერთგულ თანამებრძოლს ამხანაგ ლ. პ. ბერიას.

კონფერენციამ აირჩია პარტიის ქუთაისის საოლქო კომიტეტისა და სარევიზიო კომისიის შემადგენლობა.

1 მაისის დღესასწაული უცხოეთში

მთელ მსოფლიოში ასეულ მილიონობით ადამიანმა სიხარულითა და ზეიმით აღნიშნა 1 მაისის დღე — მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობის დიდი დღესასწაული, ყველა ქვეყნის მუშათა ძმობის დღე. შრომისა და გაზაფხულის დღესასწაულმა ჩაიარა როგორც დიდმა დემონსტრაციამ მთელ მსოფლიოში კეთილი ნების ადამიანთა მისწრაფებისა — დაიცვან სიცოცხლე და მშვიდობა ომის გამჩაღებელთა ხელყოფისაგან. ისტორიას არ ახსოვს ასეთი ძლიერი მოძრაობა, როგორიც არის მშვიდობისათვის ხალხთა მოძრაობა, რომელიც ყველა კონტინენტს მოედო. სხვადასხვა რელიგიისა და პოლიტიკური რწმენის 600 მილიონზე მეტმა კაცმა გამოთქვა ურყევი მისწრაფება მშვიდობისადმი და ხელი მოაწერა მიმართვას ხუთ დიდ სახელმწიფოს შორის მშვიდობის პაქტის დადების შესახებ. „მშვიდობისათვის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის!“, „ავლაგმოთ ომის გამჩაღებლები!“, „პასუხი ვაგებინოთ კაცობრიობის მტარვალებს, რომლებიც საზიზღარ ბაქტერიოლოგიურ იარაღს ხმარობენ!“. ეს ლოზუნგები მოჰქონდათ საპირველმაისო კოლონებს დედამიწის ყველა კუთხეში — სახალხო დემოკრატიის თავისუფალ და ბედნიერ ქვეყნებშიც, რომლებიც სოციალიზმს აშენებენ, კაპიტალის ქვეყნებშიც, სადაც, მიუხედავად პოლიციის ტერორისა და რეაქციის პარპაშისა, მშრომელები აძლიერებენ ბრძოლას მშვიდობისათვის და სასიცოცხლო უფლებებისათვის, კოლონიურ და დამოკიდებულ ქვეყნებშიც, რომლებიც იბრძვიან თავიანთი ეროვნული განთავისუფლებისათვის.

1 მაისის დღეს მშრომელებმა გამოთქვეს თავიანთი მხურვალე, ძმური სოლიდარობა კორეელ, ვიეტნამელ და მალაიელ გმირ ხალხებთან, რომლებიც იარაღით იცავენ თავიანთ თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას და სერიოზულ დამარცხებას აყენებენ აგრესორებს.

დიდი სტალინის ბრძნული სიტყვებით აღფრთოვანებული ხალხები მშვიდობის შენარჩუნების საქმეს თავიანთ ხელში იღებენ და მტაცედ აქვთ გადაწყვეტილი ბოლომდე დაიცვან იგი. ისინი უფრო მჭიდროდ რაზმავენ თავიანთ რიგებს, აძლიერებენ ბრძოლას აგრესორთა დანაშაულებრივი გეგმების წინააღმდეგ, აძლიერებენ სიფხიზლეს.

მშრომელი ადამიანები მთელ დედამიწაზე სიყვარულით და სიამაყით ადევნებენ თვალყურს საბჭოთა ხალხის ისტორიულ წარმატებებს, რომელიც აშენებს კომუნიზმს და ნათელი მომავლის ახალ გზებს უკაფავს მთელ კაცობრიობას. დიდი სოციალისტური სახელმწიფოს — მშვიდობისა და დემოკრატიის ბურჯის — ძლიერების ზრდაში მშრომელები იძენენ რწმენას ომის ძალებზე მშვიდობის ძალების გამარჯვებისადმი.

დედამიწის ყველა ენაზე გაისმოდა 1 მაისის დღეს გმირი საბჭოთა ხალხისადმი მისალმებისა და მთელი პროგრესული კაცობრიობის ბელადის საყვარელი სტალინის დღეგრძელობის სიტყვები.

წლევანდელ საპირველმაისო დემონსტრაციებს ნამდვილი ხალხური ხასიათი ჰქონდა. მაგალითად, პოლონეთის დედაქალაქ ვარშავაში დემონსტრაციაში მონაწილეობა მიიღო 400 ათასამდე კაცმა, ბუქარესტში — 550 ათასმა, სოფიაში — 300 ათასამდე, პრაღაში, ბუდაპეშტში — რამდენიმე ასეულმა ათასმა, ტირანაში — 60 ათასმა, პეკინში — 500 ათასზე მეტმა, შანხაიში — 200 ათასმა, ულან-ბატორში — 80 ათასმა კაცმა.

სახალხო დემოკრატიის ქვეყნების მშრომელნი 1 მაისის დღესასწაულს შეხვდნენ ახალი მიღწევებით სოციალიზმის მშენებლობის ფრონტზე. პოლონელი ხალხისადმი საპირველმაისო მიმართვაში პოლონეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა ბოლესლავ ბერუტმა განაცხადა: „პოლონელი ხალხი უკვე მერვეჯერ აღნიშნავს მთელი მსოფლიოს მშრომელთა დღესასწაულს, თავისუფალ, დამოუკიდებელ, კაპიტალისგან განთავისუფლებულ სახალხო პოლონეთში. ქალაქებისა და სოფლების ქუჩებში პოლონელი ხალხი პოლონეთის მუშათა კლასის მეთაურობით ცხადყოფს ერთიან ნებას ახალი, ბედნიერი ცხოვრების მშენებლობაში, ძლიერი, დამოუკიდებელი სახალხო სახელმწიფოს შექმნაში“.

ბერუტმა თავის სიტყვაში ხაზგასმით აღნიშნა, რომ პოლონელი ხალხი საბჭოთა კავშირს, დიდ სტალინს უნდა უმადლოდეს თავის განთავისუფლებას ჰიტლერული მონობისაგან და სახალხო მეურნეობის მალე აღდგენას.

ამ სიტყვებით ბერუტმა გამოხატა ფიქრები და გრძნობები არა მარტო პოლონელი ხალხისა, არამედ სახალხო დემოკრატიის ყველა ქვეყნის მშრომელებისა, რომლებიც საბჭოთა არმიამ გაათავისუფლა ფაშისტური ჩაგვრისაგან და რომლებიც ახლა წარმატებით აშენებენ სოციალიზმს.

მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის მთელ ბანაკთან ერთად სიხარულით იღღესასწაულა 1 მაისი დიდმა ჩინელმა ხალხმა. ქალაქ პეკინის მერი პინ ჯენი საპირველმაისო დემონსტრაციის გახსნისას მიესალმა დედაქალაქის მოსახლეობას და მიულოცა წარმატებანი, რომლებიც ჩინელმა ხალხმა მოიპოვა ახალი ჩინეთის მშენებლობაში, ამერიკის აგრესიისადმი წინააღმდეგობისა და კორეისათვის დახმარების აღმოჩენის მოძრაობაში, მიულოცა ყველა ქვეყნის ხალხთა წარმატებანი მთელ მსოფლიოში მშვიდობისათვის დიად ბრძოლაში. საპირველმაისო დემონსტრაციებში ჩინელ მშრომელებს მოჰქონდათ ლოზუნგები, რომლებიც მოუწოდებენ — კიდევ უფრო გააძლიერონ ბრძოლა ამერიკელ აგრესორებთან, რომლებიც კორეასა და ჩინეთში ხმარობენ ბაქტერიოლოგიურ იარაღს, განამტკიცონ მშვიდობისათვის მებრძოლთა რიგები, ხალხთა ძმური მეგობრობა.

„გაუმარჯოს სსრ კავშირისა და ჩინეთის ხალხთა დიდ და უერღვევ მეგობრობას!“, „გაუმარჯოს სტალინს!“ — ამ ლოზუნგებით გამოხატა ჩინელმა ხალხმა თავისი სიყვარული საბჭოთა კავშირისადმი, ამხანაგ ი. ბ. სტალინისადმი, მხურვალე მადლობა საბჭოთა ხალხისადმი მისი უანგარო დახმარებისათვის, რაც უზრუნველყოფს ჩინელი ხალხის „უსაზღვრო გამარჯვებებს.

გერმანელმა ხალხმა 1 მაისი იდღესასწაულა მილიტარისტული „საერთო ხელშეკრულების“ წინააღმდეგ, ერთიანი, დამოუკიდებელი, დემოკრატიული და მშვიდობისმოყვარე გერმანიისათვის ბრძოლის ლოზუნგებით. გამოვიდა რა საზეიმო მიტინგზე აღმოსავლეთ ბერლინში, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტმა ვილჰელმ პიკმა განაცხადა: „გერმანელი ხალხი 1952 წლის 1 მაისს აღნიშნავს გადამწყვეტ დღეებში. ომის ამერიკელ-ინგლისელმა გამჩაღებლებმა დასავლეთი გერმანია აირჩიეს ევროპაში თავიანთი მთავარი პლაცდარმად. დასავლეთი გერმანიაზე დაყრდნობით მათ სურთ თავიანთი ბატონობა დაამყარონ ევროპის ხალხებზე. ცილისწამებისა და მოტყუების, იძულებისა და ტერორის დახმარებით ისინი ცდილობენ დასავლეთ გერმანიის მოსახლეობა დაუმორჩილონ გათიშვისა და რემილიტარიზაციის თავიანთ პოლიტიკას. ამ პოლიტიკის განხორციელების საქმეში მნიშვნელოვანი ნაბიჯი უნდა იქნეს ადენაუერის მიერ მილიტარისტული „საერთო ხელშეკრულების“ დადება.

„სერიოზული მდგომარეობის გამო, — განაგრძო ვილჰელმ პიკმა, — გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მოუწოდა მთელ გერმანელ ერს ყოველი ღონით იბრძოლოს „საერთო ხელშეკრულების“ დადების წინააღმდეგ. ამ გრანდიოზულ საპირველმაისო მიტინგზე ჩვენც მოვუწოდებთ მთელ გერმანელ ხალხს და, უწინარეს ყოვლისა, გერმანიის მუშათა კლასს ხელი შეუშალოს მილიტარისტული „საერთო

საერთაშორისო თემაზე

I. მათ ასე ესმით პრესის თავისუფლება

ამერიკელმა იმპერიალისტებმა ომისათვის მზადების თავიანთ აგრესიულ გეგმებს დაუმორჩილეს დასავლეთ ევროპის მთელი რიგი ქვეყნების არა მარტო ეკონომიკა, რამედ აკიტაციისა და პროპაგანდის ისეთი მძლავრი საშუალებები, როგორიც არის პრესა, კინო, რადიო... მოხდა ატლანტიკის პაქტის მონაწილე ქვეყნების პრესის მარშალიზაცია. მშვიდობისა და დემოკრატიის მტრებმა ბურჟუაზიული და ე. წ. სოციალისტური პრესის მსახურთ დაავალეს დაეხმარონ აგრესორებს ომის ფსიქოზის გაღვივებაში, ომისათვის საზარბაზნე ხორცის რეზერვების შექმნაში... ბურჟუაზიული და „სოციალისტური“ პრესაც, რომელიც მთლიანად დამოკიდებულია კაპიტალისტურ მაგნატებზე, ამ სამარცხვინო და დანაშაულებრივ ამოცანას მონურად ასრულებს.

ბურჟუაზიული გაზეთები ყოველდღიურად აქვეყნებენ ათასობით წერილს, რომლებიც ქადაგებენ კაცთმოძულეობას, ქებას ასხამენ მკვლელობასა და ძალადობას, დიდ ადგილს უთმობენ შეთითხნულ „მოგონებებს“, რომლებშიც გერინგი, რიბენტროპი, კაიტელი და სხვა კაცისმკვლელები წარმოდგენილი არიან „კაცთმოყვარე და მგრძნობიარე ადამიანებად“...

საბჭოთა კავშირისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების წინააღმდეგ მიმართული უამრავი ცილისმწამებლური წერილი იბეჭდება ბურჟუაზიულ გაზეთებში, რომლებიც ხელმძღვანელობენ გერინგის პრინციპით: „რაც უფრო უხეშია ტყუილი, მით უფრო დამაჯერებელია იგი“. ამ რამდენიმე ხნის წინათ ამერიკის, ინგლისის, საფრანგეთის, შვეიცარიისა და სხვა იმპერიალისტური ქვეყნების რეაქციულმა გაზეთებმა მორიგი ჰორით მრავალი ობივატელი დაფრთხეს, — „შვეიცის ტერიტორიაზე მფრინავი ატომური თეფშები გამოჩნდა, ეს კომუნისტების საქმე უნდა იყოსო...“.

ბურჟუაზიული პრესისათვის დამახასიათებელია შემდეგი ფაქტი: მაშინ როცა, მსოფლიოს ყოველი პატიოსანი ადამიანის თვალი მიპყრობილი იყო ვარშავისაკენ, საიდანაც მძლავრად გაისმოდა მშვიდობის მომხრეთა მეორე მსოფლიო კონგრესის დელეგატთა მოწოდება ომის გამჩაღებლების წინააღმდეგ, რეაქციული გაზეთები დუმდნენ, თითქოს არაფერი მომხდარიყოს... ბელგიის მემარჯვენე სოციალისტების ორგანო „პეპლ“ კი პირველ გვერდზე დიდი ამბით იუწყებოდა: „ტრისტანი და იზოლდა სიკვდილს გადაურჩნენ: გუშინ სტოკჰოლმის საოპერო თეატრში პირველი აქტის შემდეგ მოიხსნა ოპერა „ტრისტანი და იზოლდა“, ვინაიდან მსახიობები გრიპით არიან ავადო“...

ბურჟუაზიული პრესის ლაქიებს თავი მოაქვთ ე. წ. „პრესის თავისუფლებით“. სინამდვილეში ეს არის „თავისუფლება“, რომელიც მთლიანად დამოკიდებულია კაპიტალის მაგნატებზე. ამერიკაში მილიარდერები მელონი, მორგანი, როკფელერი, ინგლისში მილიონერი ბივერბრუკი, ბელგიაში მილიონერები სოლვეი, ჟურდანი—აი ვინ განსაზღვრავს გაზეთების პოლიტიკურ მიმართულებას.

უკანასკნელ ხანებში საგრძნობლად გაძლიერდა ამერიკული პრესის გავლენა სხვა იმპერიალისტური ქვეყნების პრესაზე. ინგლისის, საფრანგეთის, იტალიის ბურჟუაზიული გაზეთები ვალდებული არიან თავიანთ მუშაობას საფუძვლად დაუდონ უწინარეს ყოვლისა „ამერიკის ხმის“ რადიოგადაცემები. ამას წინათ გაზეთი „დეილი უორკერი“ სამართლიანად წერდა დასავლეთ გერმანიის რეაქციული პრესის შესახებ: „გახსოვდეთ, როდესაც გერმანიის საზოგადოების განწყობილების დასახასიათებლად მოჰყავთ ამ გაზეთების ციტატები, ამას ლაპარაკობს დოლარი და არა გერმანელები“.

რეაქციული პრესის მსახურნი მთლიანად დამოკიდებული არიან თავიანთ ბატონ-პატრონებზე, და მათ უმუშევრობა მოელით, თუ ურჩობას გამოიჩენენ. მაგალითად, ინგლისში, გაზეთ „დეილი ტელეგრაფ ენდ მორნინგის“ რედაქციაში სამსახურიდან მოხსნეს ჟურნალისტი რეჯინალდ ტომპსონი მხოლოდ იმიტომ, რომ ის მართალ კორესპონდენციებს გზავნიდა კორეის ფრონტიდან. რა ფასი აქვს ამის შემდეგ ლაყბობას „პრესის თავისუფლებაზე?“.

ერთი რამ უდავოა: თუ რეაქციული პრესის რომელიმე წარმომადგენელი აიმაღლებს სიმართლის ხმას, მას, მართლაც, ათავისუფლებენ მუშაობისაგან.

II. კუმ ფეხი გამოჰყო...

ევროპაში ზოგიერთ გულუბრყვილო ადამიანს აბრიყვებენ, რომ შვეიცარია დემოკრატიისა და თავისუფლების ნიმუშიაო. მაგრამ სინამდვილე სრულიად აქარწყლებს ამ მონაჭორს.

შვეიცარია ფორმალურად ნეიტრალური სახელმწიფოა. ბურჟუაზიული პოლიტიკანებს წარმოდგენაში ნეიტრალიტეტის ცნებამ, ისევე როგორც სხვა ცნებებმა, შინაარსი იცვალა: საბერძნეთში „დემოკრატიის“ სახელით მოკლეს მშვიდობისა და თავისუფლებისათვის მბრძოლი ბელოიანნისი, კორეაში ლინ მანის დაჭირავებული ბანდა და ამერიკელი განგსტერები თავს დაესხნენ ჩრდილოეთ კორეის სახალხო რესპუბლიკას და, თურმე ნუ იტყვით, „აგრესორები“ ჩრდილოეთკორეელები ყოფილნ...

„ნეიტრალური“ იყო შვეიცარია მეორე მსოფლიო ომის დროსაც, მაგრამ ნეიტრალიტეტს მისთვის ხელი არ შეუშლია ფაშისტური გერმანიის დაზვერვის სამოქმედო ასპარეზი გამხდარიყო. ჯერ კიდევ ომის დროს ჰიტლერის დაზვერვის აგენტებს შვეიცარიაში მჭიდრო კავშირი ჰქონდათ დამყარებული ინგლისისა და ამერიკის დაზვერვის აგენტებთან. დამთავრდა ომი. შვეიცარია კვლავ „ნეიტრალურ“ სახელმწიფოდ დარჩა. შეიცვალა მხოლოდ ის, რომ ახლა შვეიცარიაში, ნაცვლად გერმანიისა, მონოპოლია ამერიკის დაზვერვას უჭირავს...

ოდესღაც შვეიცარიაში აწარმოებდნენ რძეს, ყველს, კარაქს. დღეს შვეიცარიაში მოქმედებს ამერიკელი იმპერიალისტების დეკეზი: „ქვემეხები კარაქის ნაცვლად“. შვეიცარიელი მრეწველები სამხედრო იარაღის დამზადებას ამჯობინებენ საათების წარმოებას. შვეიცარიის ეკონომიკა, ოკეანესგაღმელი მონოპოლისტების სურვილით, გადაყვანილია სამხედრო რელსებზე. 1950 წელს, ოფიციალური ცნობებით, „ალუმინიუმ შიპისის“ მფლობელთა მოგება 16 მილიონი შვეიცარიული ფრანკიდან 19 მილიონამდე გადიდდა, ბაზელში ქიმიური ქარხნების „სიბას“ მოგება 67 მილიონიდან—72 მილიონამდე. მარტო ჟენევაში მილიონერი კაპიტალისტების რიცხვი ერთი წლის განმავლობაში 205-დან 232-მდე გაიზარდა. ამავე პერიოდში საგრძნობლად დაეცა შვეიცარიელ მუშათა რეალური ხელფასი...

ნეიტრალიტეტის საბაბით შვეიცარიის ხელისუფალნი სდევნიან მშვიდობისათვის მებრძოლებს, თუმცა ომის გაჩაღების პროპაგანდისტები შვეიცარიაში თავისუფლად ეწევიან თავიანთ ბნელ საქმიანობას...

შვეიცარიის რადიო, პრესა ომის გამჩაღებელთა სამსახურშია. შვეიცარიის ხელისუფალნი ივიწყებენ თავიანთ „ნეიტრალიტეტს“ და ფართო გასაქანს აძლევენ ყოველგვარ ცილისმწამებელურ პროპაგანდას, რომელიც საბჭოთა კავშირისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების წინააღმდეგ არის მიმართული.

შვეიცარიელმა მშრომელმა ხალხმა, ისევე როგორც მსოფლიოს ყველა ხალხებმა, კარგად იცის, რომ საბჭოთა კავშირი არავის ემუქრება, საბჭოთა ადამიანები მშვიდობისათვის, ხალხთა მეგობრობისათვის ბრძოლის ავანგარდში დგანან. შვეიცარიელ მუშას, გლეხს, მშრომელ ინტელიგენტს მშვიდობა სურს, მათ ურჩევნიათ მყუდროდ იცხოვრონ სოფლად და დაამზადონ ყველი, კარაქი, იმუშაონ თავიანთ სახელოსნოებში და აკეთონ საათები... რაც შეეხება ბატარა შვეიცარიის მმართველ წრეებს, მათ დიდი პრეტენზიები აქვთ, ისინი ყველაფერში თავიანთ ამერიკელ მბრძანებლებს ბაძავენ. ისინი ისე, როგორც ამერიკელი იმპერიალისტები, ომის ფსიქოზით არიან დაავადებულნი, იარაღს აჩხარუნებენ: რუსები გაოგებენ ჩვენს მამაცობასო!..

ასე იმუქრებიან „ნეიტრალური“ შვეიცარიიდან. ნათქვამია—კუმ ფეხი გამოჰყო, მეც ნახირ-ნახირაო!

გ. მელაძე

„თავისუფალი“ ბურჟუაზიული ბეჭდვითი სიტყვის მანქანა სრული დატვირთვით მუშაობს.

ნახ. ი. ქოქიაშვილისა

კორეის ამბები

კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობის ცნობა

ფხენიანი, 3 მაისი. (საკდესი). კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობის დღეგანდელ ცნობაში ნათქვამია, რომ ყველა ფრონტზე სახალხო არმიის შეწაერთები ჩინელ სახალხო მოხალისეთა ნაწილებთან მჭიდრო თანამოქმედებით განაგრძობდნენ თავდაცვითს ბრძოლებს მტრის წინააღმდეგ.

ცენტრალური და აღმოსავლეთის ფრონტების ცალკეულ უბნებზე მოწინააღმდეგემ ავიაციისა და ტანკების დახმარებით სცადა იერიში მიეტანა სახალხო ჯარების პოზიციებზე. სახალხო არმიის ნაწილებმა მოიგერიეს მოწინააღმდეგის იერიშები და ზარალი მიაყენეს მას ცოცხალი ძალისა და ტექნიკის მხრივ.

სახალხო არმიის არტილერიამ კიმჩაკის რაიონში (აღმოსავლეთი სანაპირო) ჩასძირა მტრის ერთი სამხედრო ხომალდი, რომელიც ცდილობდა სროლა აეტეხა მშვიდობიანი დასახლებული პუნქტებისათვის.

ფხენიანი, 4 მაისი. (საკდესი). კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობამ დღეს გამოაქვეყნა ცნობა, რომ სახალხო არმიის შეწაერთები ჩინელ სახალხო მოხალისეთა ნაწილებთან მჭიდრო თანამოქმედებით განაგრძობენ თავდაცვითს ბრძოლებს მტრის წინააღმდეგ.

სახალხო არმიის სანაპირო არტილერიამ ძწყობრიდან გამოიყვანა მტრის ორი საესკადრო ნაღმოსანი, რომლებიც შემოიპრნენ ვონსანის წყლებში და სროლა აუტეხეს მშვიდობიან დასახლებულ პუნქტებს.

სახალხო არმიის საზენიტო არტილერიის ნაწილებმა და თვითმფრინაველის გამანადგურებელმა მსროლელებმა მტრის 8 თვითმფრინავი ჩამოაგდეს.

ინგლის - ამერიკის წინააღმდეგობანი

ლონდონი, 3 მაისი. (საკდესი). როგორც გაზეთ „დეილი მეილის“ ვაშინგტონელი კორესპონდენტი იუწყება, ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საზღვაო უწყება ძლიერ ზეგავლენას ახდენს და ცდილობს მიაღწიოს იმას, რომ ინგლისის ხმელთაშუა ზღვის ფლოტი გადაცემულ იქნას ევროპის სამხრეთ ზონაში ჩრდილოეთ ატლანტიკის კავშირის სამხედრო-საზღვაო ძალების სარდლის ამერიკელი ადმირალის კერნის გამგებლობაში.

„აღნიშნავენ,—წერს კორესპონდენტი, — რომ კულისებს იქით ახლა ისეთივე ქარიშხალი ბობოქრობს, როგორიც ბობოქრობდა შარშან ატლანტიკის ოკეანის ჩრდილოეთ ნაწილში ჩრდილოეთ ატლანტიკის კავშირის სამხედრო-საზღვაო ძალების სარდლის დანიშვნასთან დაკავშირებით“.

როგორც კორესპონდენტი აღნიშნავს, ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საზღვაო ძალების შტაბის უფროსი ადმირალი ფეხტლერი მალე ინახულებს ლონდონს, რათა განმარტოს სამხედრო და პოლიტიკური მოსაზრებანი ხმელთაშუა ზღვის სარდლის პოსტზე ამერიკელის დანიშვნის სასარგებლოდ.

„აქამდე,—განაგრძობს კორესპონდენტი, — იცავდნენ გარეგნულ ზრდილობას, მაგრამ ინგლისის საელჩოს თანამშრომლებს სულ უფრო მეტად აწუხებს ამერიკულ პრესაში მრავალი ისეთი „ინსპირირებული“ ცნობის გამოქვეყნება, რომლებიც გამოხატავს ამერიკის სამხედრო-საზღვაო წრეების თვალსაზრისს. ვაშინგტონში ფიქრობენ, რომ ადმირალ ფეხტლერის ლონდონს გამგზავრების მიზანია „გულახდილი საუბარი“.

ვ. პოკგომოვის დაკრძალვა

სოფია, 3 მაისი. (საკდესი). დღეს სოფიაში დაკრძალეს ბულგარეთის გამოჩენილი პარტიული და სახელმწიფო მოღვაწე, ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ვლადიმერ პოპტომოვი.

16 საათზე ვილკო ჩერვენკოვმა, გიორგი ჩანკოვმა, რაიკო დამიანოვმა და განსვენებულის სხვა მეგობრებმა და მახლობლებმა სახალხო ჯარის სახლის შენობიდან გამოასვენეს კუბო ვლადიმერ პოპტომოვის ცხედრით და დასვენეს ქვემეხის ლაფეტზე.

სამგლოვიარო პროცესია დაიძრა 9 სექტემბრის მოედნისაკენ. აქ, გიორგი დიმიტროვის მავზოლეუმთან, ვლადიმერ პოპტომოვის ხსოვნისადმი მიძღვნილი გამოსათხოვარი სიტყვა წარმოთქვა ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ რაიკო დამიანოვმა.

შემდეგ პროცესია გაემართა სოფიის სასაფლაოსაკენ, სადაც მოკლე სამგლოვიარო მიტინგის შემდეგ ვლადიმერ პოპტომოვის ნეშტი დაკრძალეს.

პრეზიდენტის არჩევნებისათვის მზადება ამერიკის შეერთებულ შტატებში

პროგრესული პარტიის წინასაარჩევნო კამპანია

ნიუ-იორკი, 4 მაისი. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების პროგრესული პარტია, რომელმაც პრეზიდენტობის კანდიდატად დაასახელა ვინსენტ ჰოლინენი, ხოლო ვიცე-პრეზიდენტობის კანდიდატად — ზანგი ქინი შარლოტა ბასი, წინასაარჩევნო კამპანიაში ხვდება ომისა და რეაქციის ძალების მიერ შექმნილ სერიოზულ დაბრკოლებებს.

იუსტიციის სამინისტრომ 6 თვით საპყრობილეში მოათავსა ვინსენტ ჰოლინენი იმისათვის, რომ იგი იცავდა პროფკავშირულ ხელმძღვანელს ჰარი ბრიჯესს პროცესზე, რომელიც ბრიჯესის წინააღმდეგ აღძრა იუსტიციის სამინისტრომ.

ამერიკის საწინააღმდეგო საქმიანობის გამომკვლევი კომისიები საერთო ეროვნული მასშტაბით და შტატებში ცდილობენ დააშინონ პროგრესული პარტიის რაიონული ორგანიზაციების ხელმძღვანელობა, ხშირად ახდენენ გამოკვლევას, რაც იწვევს პროგრესული პარტიის წევრების გადაყენებას მათი პოსტებიდან. ბევრ შტატში საკანონმდებლო ორგანოებმა 1948 წლიდან განზრახ გადასინჯეს არჩევნების დებულება, რათა პროგრესულ პარტიას მოუსპონ შესაძლებლობა შეასრულოს კანდიდატების დასახელების სსტიკი მოთხოვნები. ქალაქებში პოლიცია აპატიმრებს და ყოველნაირად აბრკოლებს პროგრესული პარტიის წევრების საქმიანობას, აქეზებს ამერიკის ლეგიონსა და სხვა პროფაშისტურ ჯგუფებს, რომლებიც შლიან პროგრესული პარტიის მიტინგებს, და აიძულებს სანახობათა და საკონცერტო დარბაზების პატრონებს თავიანთი შენობები არ მიაქირაონ პროგრესულ პარტიას კრებებისათვის და სხვა ღონისძიებათა განსახორციელებლად.

კაპიტალისტურმა პრესამ, რადიომ და ტელევიზიამ პროგრესული პარტიის წინააღმდეგ მოაწყეს დუმილის სრული შეთქმულება და იმედი აქვთ დაუმალონ ხალხს მისი პოზიცია, პროგრამა და საქმიანობა.

აცხადებს რა, რომ, მიუხედავად ყოველგვარი დაბრკოლებისა, პარტიას მტკიცედ აქვს გადწყვეტილი გააცნოს თავისი პროგრამა ამერიკელ ხალხს, პროგრესული პარტიის ლიდერი, წარმომადგენელთა პალატის ყოფილი წევრი, ვიტო მარკანტონიო პროგრესული პარტიის ორგანო „ნეიშნლ გარდიანის“ სპეციალურ ნომერში მოთავსებულ სტატიაში წერს, რომ პარტია აპირებს „დარაზმოს ხალხი ძირითადი საკითხის. გარშემო, ხოლო ამჟამად ეს არის მშვიდობის საკითხი... ჩვენ ვაცხადებთ, იმისათვის, რომ ვიარსებთ, მშვიდობიანად უნდა ვიცხოვროთ 250-მილიონიან საბჭოთა კავშირის ხალხთან, 475-მილიონიან ჩინელ ხალხთან, 300-მილიონიან ინდიელ ხალხთან და რომ ერთხელ და სამუდამოდ უნდა მოისპოს ყოველი სახეობისა და ფორმის კოლონიალიზმი— იქნება ეს XIX საუკუნის კოლონიალიზმის ნამთები, ჩერჩილის ტიპის კოლონიალიზმი, თუ XX საუკუნის კოლონიალიზმი მეოთხე პუნქტის ტრუმენისებური პროგრამის ფორმით, რომელსაც ახლა ამერიკელ ხალხში ქადაგებენ ცრულიბერალები და შარლატანები“.

„ამჟამად პროგრესული პარტია მთელ ყურადღებას აქცევს იმ მოთხოვნების შესრულებას, რომლებზეც დამოკიდებულია ის, რომ სხვადასხვა შტატებში კანდიდატთა სიებში შეტანილ იქნან ჰოლინენი და ბასი, აგრეთვე კონგრესის კანდიდატები პროგრესული პარტიისაგან. მეტწილ შემთხვევებში შტატების კანონებით ეს ნიშნავს კანდიდატთა დასახელების პეტიციებზე 1.000-დან 500.000-მდე ხელმოწერის შეგროვებას.

პროგრესული პარტიის კანდიდატებისათვის უზრუნველყოფილია ადგილები ნიუ-იორკის, კალიფორნიის, მონტანის, კონექტიკუტის, მისურის, ნიუ-ჯერსისა და პენსილვანიის შტატების ბიულეტენებში. ოჰაიოს, ოკლაჰომის, დასავლეთ ვირგინიის, ფლორიდისა და გეორგიის შტატებში არჩევნების დებულებანი ფაქტიურად გამორიცხავენ ბიულეტენში პროგრესული პარტიის კანდიდატების შეტანის შესაძლებლობას.

საარჩევნო კანონების მოთხოვნათა შესასრულებლად ძალების მობილიზაციასთან ერთად პროგრესული პარტიის რეგიონალური ორგანიზაციების ხელმძღვანელობა აწყობს დემოკრატიულ დისკუსიებს ადგილობრივი მასშტაბით იმისათვის, რომ ჩამოყალიბებულ იქნას პოლიტიკური პროგრამის დებულებანი; ეს პროგრამა მოსაწონებლად წარედგინება პარტიის მომავალ ყრილობას, რომელიც ოთხ იანვარს გაიმართება ჩიკაგოში.

ადნ-ის საგენგო ბონის ხელისუფალთა მიერ განსაკუთრებული სასაზღვრო რეჟიმის შემოღების შესახებ

ბერლინი, 3 მაისი. (საკდესი). ადნ-ის საგენტოს ცნობით, „საერთო ხელშეკრულების“ ძალაში შესვლისათვის მზადებასთან და ამის გამო გერმანიის გათიშვის გაღრმავებასთან დაკავშირებით ადენაუერის მთავრობამ განკარგულება გასცა შემოღებულ იქნას უფრო სასტიკი სასაზღვრო რეჟიმი სადემარკაციო ხაზზე დასავლეთ გერმანიასა და გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის.

როგორც მნახველები იუწყებიან, სადემარკაციო ხაზის გაყოლებით შექმნილია განსაკუთრებული ზონა 10 კილომეტრ სიღრმეზე, სადაც პოლიციისა და საბაჟოს მოხელეებს მინიჭებული აქვთ ფართო რწმუნებანი, რომლებიც მათ უფლებას აძლევს მოიხდინონ ამ ზონაში ყველა შენობისა და ტრანსპორტის თვითნებური ჩხრეკა, აგრეთვე პირადი ჩხრეკა. სადემარკაციო ხაზიდან ასმეტრიანი ზონის ფარგლებში პოლიციის ხელისუფლებმა შექმნეს სხვადასხვა ზღუდეები, სადარაჯო პოსტები და სხვ.

სასაზღვრო პოლიციის ხელისუფალთ ნება აქვთ დართული სასაზღვრო რაიონში გამოიყენონ იარაღი.

ამჟამად ათკილომეტრიანი ზონის ფარგლებში განლაგებულია პოლიციის დიდი ძალები, რომლებსაც აქვთ ფართოდ განვითარებული კავშირგაბმულობის სამსახური. პოლიციის ავტომანქანები განუწყვეტლივ პატრულობენ სადემარკაციო ხაზის გაყოლებით.

რამდენიმე ხნის წინათ შეიქმნა სპეციალური „სასაზღვრო საბაჟო სამსახური“, რომლის ამოცანაა სადემარკაციო ხაზზე ადამიანების, ტვირთების, საგადასახდელო სახსრებისა და ფასიანი ქაღალდების მოძრაობისათვის კონტროლის გაწევა. ამ ხაზის გაყოლებით განლაგებულია „სასაზღვრო საბაჟო პუნქტების“ მთელი ქსელი ფართო რწმუნებებით აღჭურვილ მოხელეთა და პოლიციელთა დიდი შტატით.

სადემარკაციო ხაზზე გერმანელთა სასაზღვრო პოლიციის მუშაობას, სასაზღვრო რეჟიმის განხორციელებას კონტროლს უწევენ ინგლელთა და ამერიკელთა საოკუპაციო ჯარები.

ამრიგად, ევროპის საკონსულტაციო კომისიის მიერ გერმანიის ოკუპაციის აღმოსავლეთ და დასავლეთ ზონებს შორის თავის დროზე დაწესებული სადემარკაციო ხაზი ბონის მთავრობამ ფაქტიურად გადააქცია სახელმწიფო საზღვრად ისეთი რეჟიმით, რომელიც არათუ არაფრით არ განსხვავდება ჩვეულებრივი რეჟიმისაგან სახელმწიფოთა საზღვარზე, არამედ ბევრ შემთხვევაში კიდეკაც სჯარბობს მას თავისი სისასტიკით.

ამასთან ერთად გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასთან სადემარკაციო ხაზზე დასავლეთ სახელმწიფოთა საოზვერო სამსახურმა მოაწყო გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიაზე დივერსანტების, ჯაშუშების, მავნებლების, პროვოკატორებისა და კონტრაბანდისტების გადამყვანი მთელი რიგი სპეციალური პუნქტები.

ამერიკის ჩარევა ირანის საქმეებში

თეირანი, 5 მაისი. (საკდესი). თეირანის პრესა ყურადღებას აქცევს იმ ფაქტს, რომ ამერიკის ელჩი თეირანში ჰენდერსონი კვლავ ახდენს ზეგავლენას ირანის მთავრობაზე ირანის საგარეო პოლიტიკის ყველა უმნიშვნელოვანეს საკითხში.

გაზეთი „ბახტარე ემრუზი“ იუწყება, რომ ჰენდერსონი 3 მაისს შეხვდა პრემიერ-მინისტრ მოსადიკს და, იმოწმებს რა ირანის მთავრობის წრეებში გავრცელებულ ხმებს, წერს, რომ ჰენდერსონმა „აცნობა“ მოსადიკს შინაარსი ინგლისისა და ამერიკის დიპლომატების უკანასკნელი მოლაპარაკებისა იმ საკითხებზე, რომლებიც დაკავშირებულია ირანის ნავთის მრეწველობის ნაციონალიზაციასთან და ამის გამო ჰაადის საერთაშორისო სასამართლოსადმი ინგლისის მიმართვასთან.

გარდა ამისა, ჰენდერსონს „მოლაპარაკება ჰქონდა“ მოსადიკთან დასავლეთის სახელმწიფოთა მიმართ ირანის საგარეო პოლიტიკის გამო და, კერძოდ, ირან-ინგლისის ურთიერთობის გამო ბაჰრეინის კუნძულების საკითხზე ირანის საპრეტესტო ნოტასთან დაკავშირებით.

გაზეთი „ბახტარე ემრუზი“ იმოწმებს ინგლისის პოლიტიკურ წრეებს ირანში და აღნიშნავს, რომ ჰენდერსონმა უკანასკნელ საკითხზე განაცხადა: ნოტების გაცვლამ ბაჰრეინის კუნძულებისა და სპარსეთის ყურის აუზის სხვა კუნძულების შესახებ „მწუხარება გამოიწვია ამერიკის წრეებში, რომელთაც ამ რაიონებში ნავთის სარეწები აქვთ“. ამიტომ ჰენდერსონმა „ურჩია“ მოსადიკს, რომ ირანმა ამჟამად დაჟინებით არ დაიცვას „თავისი უფლებანი ბაჰრეინის კუნძულების მიმართ“.

გაზეთი „ათენი“ აცხადებს: ჰენდერსონი დაჟინებით მოითხოვდა, რომ ირანს „სერიოზული ნაბიჯები“ არ გადაედგა ბაჰრეინის კუნძულების მიმართ, „რამდენადაც ამერიკას სამხედრო ბაზები აქვს ბაჰრეინის კუნძულებზე“.

ქალთა რესპუბლიკური შეჯიბრება ჭადრაკში

I-ბა ადგილის მფლობელნი

დამთავრდა ჭადრაკში ქალთა შორის საქართველოს XI პირველობისათვის შეჯიბრების პირველი ნახევარი. საქართველოს 1950 წლის ჩემპიონმა ქ. გოგიავამ რვა გათამაშებული პარტიიდან მხოლოდ ნახევარი ქულა დაკარგა და 7½ ქულით მტკიცედ დგას ლიდერის ადგილზე.

მეორე ადგილი უჭირავს სასპორტო საზოგადოება „სპარტაკის“ ჩემპიონს ნ. ვოიცეკს (მოსკოვი). იგი მხოლოდ ნახევარი ქულით ჩამორჩება ტურნირის ლიდერს. უკრაინის 1952 წლის ჩემპიონს ლ. კოგანს 6 ქულა აქვს შეიდიდან და მესამე ადგილზე მდგომ. ახალგაზრდა მოჭადრაკე ქალთა შორის აღსანიშნავია ელ. კაკაბაძის წარმატება. იგი პირველად მონაწილეობს ასეთ შეჯიბრებაში. მას ტურნირის პირველ ნახევარში მხოლოდ ერთი პარტია აქვს წაგებული და დაგროვილი 5 ქულით მეოთხე ადგილი უკავია.

მოკრივეთა შეჯიბრება

ამას წინათ გაიმართა სასპორტო საზოგადოებების „ნაპერწკლისა“ და „პიშჩევიკის“ მოკრივეთა ნაკრები გუნდების შეჯიბრება ამ საზოგადოებათა საუკეთესო მოკრივეების მონაწილეობით.

თავიანთ წონითს კატეგორიებში გამარჯვება მოიპოვეს კ. ფარსადანოვმა, ი. ბატიაშვილმა, ლ. ასატუროვმა, გ. შამიროვმა, ე. ჯიქიამ, რ. არზუმანოვმა და თ. კანდელაკმა.

საერთო მაჩვენებლების მიხედვით გამარჯვებას მიაღწია „ნაპერწკლის“ გუნდმა (მწვრთნელი სპორტის ოსტატი ბ. მელაძე), რომელმაც შეჯიბრება მოიგო ანგარიშით 6 : 4.

ქრონიკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ მუშაობის ჩაშლისათვის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სასოფლო-სამეურნეო მშენებლობის მთავარი სამმართველოს უფროსის თანამდებობიდან მოხსნა ამხ. დ. გ. ეგვერაძე.

დღეს გაზეთ „ზარია ვოსტოკაში“

პირველი გვერდი — მოწინავე — მშვიდობიანი მშენებლობის სესხი.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში — სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების სახელმწიფო სესხის გამოშვების შესახებ.

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების სახელმწიფო სესხის გამოშვების პირობები.

„პრავდის“ 5-V მოწინავე — ლენინ-სტალინის პარტიის მძლავრი იარაღი.

მეორე გვერდი — ყველანი როგორც ერთი კაცი მოვაწერთ ხელს სესხზე. (მიტინგები საწარმოებში).

კ. სოხაძე — სოციალისტური სამშობლოს ახალი აყვავების სესხი.

მესამე გვერდი—ბოლშევიკური პრესის დღე მოსკოვსა და ლენინგრადში.

ვ. პოდკურკოვი — ბოლშევიკური პრესა.

საერთო სათაურით „კეთხველი და გაზეთი“ წერილები: ს. რაზმაძე — უკეთ და ლრმად გავაშუქოთ მეტალურგების ცხოვრება. გ. მიქაშავიძე — მეშახტეთა მოთხოვნები გაზეთისადმი. მ. მოდებაძე — დაწყებული საქმე ბოლომდე მივიყვანოთ. მ. მრევლიშვილი — გაზეთი და მწერალი. ა. აფხაიძე — ჩემი სურვილები. გ. კაკაჯიშვილი — პროპაგანდისტის შენიშვნები. ქ. ბახტაძე — მეტი ყურადღება სუბტროპიკული მეურნეობის საკითხებისადმი.

მეოთხე გვერდი — უცხოეთის ინფორმაციები. ქალაქის ქრონიკა. ფიზკულტურა და სპორტი.

საქმესის გასწორება

„კომუნისტის“ 4 მაისის ნომერში მე-4 გვერდზე მოთავსებულ მასალაში „საფრანგეთის მშვიდობის ეროვნული საბჭოს მუდმივი კომისია პროტესტს აცხადებს გენერალ რიჯუეის დანიშვნის წინააღმდეგ“ მეორე აბზაცი უნდა იკითხებოდეს ასე:

„მშვიდობისათვის მოძრაობა, რომელიც გაიზარდა ჩრდილოეთ ატლანტიკის ბლოკის პოლიტიკის წინააღმდეგ, პოლიტიკისა, რომელსაც ეროვნული დამოუკიდებლობის სრული დაკარგვისაკენ მიჰყავს საფრანგეთი...“, შემდეგ როგორც ტექსტშია.

რედაქტორის მოადგილე
ი. ნატროშვილი

საქართველოს რადიოინფორმაციის კომიტეტის გადაცემათა პროგრამა

(რადიოსადგურებით 1.571 და 59,52 მეტრ ტალღებზე და ქალაქის სატრანსლაციო ქსელით)

7 მაისს

06.25 — დუნაევსკის და ბლანტერის სიმღერები; 07.30 — სიმფონიური მუსიკის კონცერტი; 09.20 — საბჭოთა კავშირის ხალხთა სიმღერები; 10.30 — რადიოკომპოზიცია—„საბჭოთა რადიო“; 11.10 — კონცერტი ბალაკირევის და რიმსკი-კორსაკოვის ნაწარმოებებიდან; 17.15 — დვორჟაკის სლავური რაფსოდია და სლავური საცეკვაოები; 17.40 — გადაცემა, მიძღვნილი რადიოს დღისადმი; 18.15 — კონცერტი; 19.15 — ოთარ გორდელის სიმფონიური კვინტეტი; 20.30 — ქალაქის ქსელით — საქართველოს რადიოკომიტეტის გუნდის კონცერტი, რადიოსადგურებით — გადაცემა სოფლის მეურნეობის მუშაკთათვის; 21.00 — რადიოს დღისადმი მიძღვნილი საზეიმო კონცერტის ტრანსლაცია თბილისის ოფიცერთა სახლიდან; ანტრაქტში—ლექცია კადრების თვითგანვითარების დასახმარებლად: „კოლმეურნეობის საზოგადოებრივი მეურნეობა კოლმეურნე გლეხობის მატერიალური კეთილდღეობისა და საკოლმეურნეო სიმდიდრის ზრდის წყაროა“.

დღეს თეატრებში

მარჯანიშვილის სახელობის — ლამაზი მამაკაცი; **გრიბოედოვის სახელობის** — რევიზორი (38-ე, 39-ე ან.); **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — ბაში აჩუკი (23-ე ან. 7 ს.); **თოჯინების ქართული** — დათუნიას ქოხი (11 ს.), ნანატეგში (12½ ს.).

დღეს კინოებში

რუსთაველის სახელობის, „ამირანი“, „ისანი“, „სპარტაკი“ — ვეღური ბარა; **„ოქტომბერი“, „თბილისი“, 26 კომისრის** — ოთხთა გული; **„კომკავშირელი“, „კოლხიდა“** — სიმღერა ტყეჩებში; **კიროვის სახელობის** — სახიფათო რეისი; **„დიდუბე“** — ტყუპები.

მოქალაქე **აკაკი თეოფილეს-ძე ტრაპაიძემ**, მცხოვრებმა სამტრედიის ქ. № 22, აღძრა საქმე ჩიტაძის ქ. № 5 მცხოვრებ მოქალაქე **თამარ კონსტანტინეს ასულ ნაკაშიძესთან** განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის ბერიას რაიონის მე-3 უბნის სახალხო სასამართლო.

მოქალაქე **პავლე ნიკოლოზის-ძე ცემკომ**, მცხოვრებმა საბჭოს ქ. № 43, აღძრა საქმე იქვე მცხოვრებ მოქალაქე **სოფიო ხარიტონის ას